ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 3 მარტი, 2023 №44 (9080) ფასი: 80 თეთრი

## მიხეილ სააკაშვილის სასჯელისგან გათავისუფლების ან გადავადების შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა




გვ.5

# „არა რუსულ კანონს! არა პუტინისტებს! არა რუსეთს!“

„ამ კანონის მიღებით ქვეყანაში დემოკრატიის ნაფლეთებიც აღარ დარჩება“





გვ.2

„თუ ამ კანონს მიიღებენ, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა აღარ იქნება“





## პრეზიდენტი:

„ანტიკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს და აიკრძალოს ყველა იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრინციპებს, ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის მიერ არჩეულ გზას“

გვ.4



გვ.3

## „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გაგვიბედა!“

მურმან დუმბაძე:
„საქართველოს პარლამენტში ქართველი ხალხის სახელით დაიწერა კანონპროექტი, რომელიც რუსულია და ქართველი ხალხის არჩევანთან მას არავითარი საერთო არა აქვს“

## „რასაც კობახიძე ამბობს, ზუსტად იგივე გაიმეორა მარია ზახაროვამ!“

გიორგი ვაშაძე:
„ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ კანონს მისცემს ხმას, იქნება ჩვეულებრივი რუსული წარმომადგენლობა საქართველოში!“



გვ.2

## „ჩემთვის რომ ეკითხა, ვეტყოდი, რომ ახლა ამ კანონპროექტის შემოტანის დრო არ არის“



გვ.3

პეტრე მამრაძე:
„დასავლეთში არაერთი განცხადება გაკეთდა, რომ საქართველო პარტნიორია და დერეფანი უნდა იყოს. ეს იზოლაციაა?“

## „პრობლემები რუსეთს ერთ-ორ წელიწადში დაამთავრებს“




გვ.4

„რუსეთის მთავრობამ დაადასტურა, რომ სანქციები მუშაობს“

1993230720223

5 მეუფე ნიკოლოზი: „ოდნავ ეჭვი რომ მქონდეს, მიხეილ სააკაშვილი ამას განგებ აკეთებს, ზიარების უფლებას არ მივცემდი“

4 შაჰინი: „უცხოელ აგენტებზე კანონპროექტი ამერიკული კანონის მსგავსი არ არის“

5 რამდენი ათასი ლარი დაუჯდებათ სტუდენტებს ჯარიდან გადავადება

6 მოლდოვაში სახელმწიფო გადატრიალება მზადდება

# „არა რუსულ კანონს! არა პუტინისტებს! არა რუსეთს!“

## „ამ კანონის მიღებით ქვეყანაში დემოკრატიის ნაფლეთებიც აღარ დარჩება“

გუშინ პარლამენტში რამდენჯერმე დაამტვრიეს, ამოატრიალეს ინვენტარი, გააძევეს სხდომიდან დეპუტატები, დაემუქრნენ ჟურნალისტებს, მოგვიანებით დაიჭირეს აქტივისტები, მაგრამ აზრი მაინც ვერ შეაცვლევინეს – არა რუსულ კანონს!

არა პუტინისტებს! არა რუსულ კანონს! არა რუსეთს! – ამ შეძახილების ფონზე ცადა „ქართულმა ოცნებამ“ რუსული კანონის წინააღმდეგ წასვლა, რომელიც „ხალხის ძალამ“ წარადგინა.

ოპოზიციონერ კაც დეპუტატებს, რომლებიც სხდომათა დარბაზიდან ძალის გამოყენებით გაიყვანეს, პირადობის მოწმობები ჩამოართვეს.

რუსული კანონის განხილვა ხმაურისა და დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა.

ხათუნამ სამნიძე „ოცნების“ წევრმა ირაკლი ზარქუამ წყობიდან გამოიყვანა, რის შემდეგაც პარტია „რესპუბლიკელების“ წევრმა თავი ვერ შეიკავა და ზარქუას უთხრა, რომ, თუ არ გაჩერდებოდა, აგინებდა.



– ნული გაქვთ პოლიტიკური ნება, რაც დაგიწერეს, იმას აკეთებთ. სულ ფეხებზე გკიდიათ ყველაფერი, რაც ხდება. რა რეიტინგი? შენ ხომ გაქვს რეიტინგი რა, ძალიან პოლიტიკური კაცი ხარ ამ ქვეყანაში, ვაი შენს პატრონს. ნუ მაწყვეტინებთ, ბატონო თავმჯდომარევ. არგუმენტი რომ არ გაქვთ და რეიტინგზე მელაპარაკებით, ქვეყანას ანგრევთ და რეიტინგებზე მელაპარაკებით, თქვე საცოდავებო. თავს ვიკავებ, რომ არ გაგინო, ირაკლი და დავაი ახლა აქედან, – უთხრა სამნიძემ ირაკლი ზარქუას.



### „თუ ამ კანონს მიიღებენ, საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა აღარ იქნება“

– თავხედი ხარ, ზრდილობა ისწავლე, სარკეში მაინც ჩაიხედე, გაუზრდელო, – ამ სიტყვებით მიმართა ე.წ. ხალხის ძალის ლიდერმა დიმიტრი ხუნდაძემ ქალ დეპუტატ ანი წითლიძეს.

– შენ „ვაფშე“ დაახვიე აქედან, – ასე მიმართა მიხეილ ყაველაშვილმა ანი წითლიძეს.

– ხელებს ნუ იქნევ, რა ზრდილობაზე ლაპარაკობ, როდესაც გინების მეტი არაფერი გიკეთებია, – მიმართა წითლიძემ ყაველაშვილს, რასაც „გამიჯნულის“ პასუხი მოჰყვა – შენ „ვაფშე“ დაახვიე აქედან!

ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რომ როცა პარლამენტში შევიდა, იმედი ჰქონდა, რამე სასარგებლოს გააკეთებდა ქვეყნისთვის. ის საუბრობს მოსახლეობის პრობლემებზე და ამბობს, რომ ხალხი გაჭირვებაშია, წვიმაში, ტალახში, სიცივეში, 2 კაპიკის სანახავადაა ქუჩაში გამოსული და, უიმედობაშეპყრობილი, ქვეყანას ტოვებს.

ელისაშვილი:

– სხვა პრობლემა ამ ქვეყანაში არ იყო, ეს დავიდარაბა რომ არ შემოგეტანათ? ყველაფერი მოაგვარეთ, ერთი დარჩა, არასამთავრობოები, რომლებიც მართლა მუხლჩაუხრელად მუშაობენ? გუდიაშვილის მოედანი კარგად რომ გაკეთდა, მერე ხომ კარგად გიხაროდათ? აგენტები ვიყავით და ჯაშუშები? ეს უნდა მიძახოთ? სხვა დარდი არ არის ამ ქვეყანაში?

ამდენი ხნის განმავლობაში სხვა პრობლემა ვერ დავინახეთ? რუსის ტანკი რომ თბილისში არ შემოვიდა, იმათი დამსახურებაა, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის კი არ ეშინიათ. ხორბალი რომ შემოგვიტანეს, საჭმელი რომ არ იყო და რას ვჭამდით, ვინ იცის,□ის ხალხი გვეუბნება, ნუ აკეთებთ ამას, ეს არის ის, რაც ერთი-ერთში გააკეთა რუსეთმა და პუტინმა და რატომ აკეთებთ? სხვა პრობლემას ვერ ხედავთ? წამო, გავიაროთ ნავთლუღის ბაზარში. იქ რომ გაჭირვებული ხალხია, ამაზე ფიქრობს ხალხი, ოღონდ აგენტების კანონი მიიღონო, ესღა დარჩაო?

ყველა გირჩევს, ნუ აკეთებ ამას, ხომ იცი, რაზეც ვლაპარაკობ, მაინც რატომ აკეთებ? მოდი, ალალად გვითხარი, პატიოსნად, რომ გვინდა რუსეთი. მე რომ გუდიაშვილის მოედანს ვიცავდი, აგენტი ვიყავი? შენ მეუბნები, რომ მე ვარ აგენტი. სულაც არ მინდა, ამაზე ვლაპარაკობდე, ვეტერანებზე მინდა გელაპარაკო, რა დროს ეგ არის, რატომ აკეთებთ ამას, რატომ? რატომ აკარგვინებთ ქვეყანას პერსპექტივას? ალალად და პატიოსნად მითხარით, ხო, ასეთი „ხოში“ მაქვს, რუსეთში მინდა შევიყვანო ეს ქვეყანა. არ გახდება ეს ქვეყანა რუსეთი, რაც გინდათ, მიიღეთ და, რაც გინდათ, გადაიღეთ.



– ამ დარბაზში განიხილება კანონი და ფაქტობრივად დარბაზში ვართ ქალი დეპუტატები, ხოლო ოპოზიციონერი მამაკაცი დეპუტატები გაყვანილი არიან პარლამენტის შენობიდან. მაქვს ინფორმაცია, რომ მათ ჩამორთმეული აქვთ მანდატი, ჩამორთმეული აქვთ პირადობის მოწმობა და, შესაბამისად, ვერ შემოდიან შენობაში. ეს არის გენდერული დისკრიმინაცია და ამასაც უნდა მიხედვა, – განაცხადა ნატო ჩხეიძემ.





– თუ ამ კანონს მიიღებენ, საქართველო აღარ იქნება დამოუკიდებელი ქვეყანა, – აცხადებს ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია.

– ამ კანონის მიღებით დემოკრატიის ნაფლეთებიც აღარ დარჩება ქვეყანაში, – აცხადებს არმაზ ახვლედიანი.

დარბაზიდან გამოძევებულმა გიორგი ვაშაძემ და ლევან ხაბეიშვილმა საღამოს 6 საათზე აქცია დააანონსეს.

პარლამენტთან მიმდინარე აქციის მონაწილეების ნაწილმა საკანონმდებლო ორგანოს შესასვლელებთან გადაინაცვლა.

სამართალდამცველები რამდენჯერმე დაუპირისპირდნენ სამოქალაქო აქტივისტებს! პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციაზე რამდენიმე ადამიანი ძალის გამოყენებით დააკავეს.

დღის ბოლოს „ქართული ოცნების“ რუსულ კანონს პარლამენტში საგარეო ურთიერთობებისა და თავდაცვის კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს და განსახილველად იურიდიულ კომიტეტს გადასცეს. ცნობილია, რომ განხილვა ორშაბათს გაიმართება.

ოპოზიციამ ორშაბათიდან პერმანენტული აქციები დააანონსა.

# „რასაც კობახიძე ამბობს, ზუსტად იგივე გაიმეორა მარია ზახაროვამ!“

## გიორგი ვაშაძე: „ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ კანონს მისცემს ხმას, იქნება ჩვეულებრივი რუსული წარმომადგენლობა საქართველოში!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ხელისუფლების მიერ არჩეულ კურსს? ვისმენთ შეფასებებს, რომ ქვეყანა რუსეთისკენ მიჰყავთ. არ ასრულებენ 12-პუნქტიან გეგმას და უკვე ღიად ამბობენ, რომ არ უნდათ კანდიდატის სტატუსი?***

– რა თქმა უნდა, არ უნდათ. პირდაპირ აპირებენ, რომ კანდიდატის სტატუსზეც, ევროკავშირზეც და ნატოზეც გვითხრან უარი და საქართველო შეატრიალონ რუსეთისკენ. ეს არის ორჯერ ორი ოთხი. როცა რუსულ კანონს იღებ პარლამენტში, მე მგონი, დღესავით ნათელია ყველაფერი.

***– თქვენს ინიციატივაზე რას გვეტყვით? აპირებთ მილიონი ხელმოწერის შეგროვებას, რასთან დაკავშირებით?***

– დიახ, ჩვენ ამასთან დაკავშირებით გავაკეთეთ განცხადება და ჩვენს შემდგომ ნაბიჯზე ვისაუბრეთ. ჩვენ მილიონი ხელმოწერა უნდა შევაგროვოთ, რომ მანდატი ავიღოთ ევროკავშირთან და ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან მოლაპარაკების და საბოლოო დელეგიტიმაცია მოვახდინოთ „ქართული ოცნების“. გავაკეთეთ ამასთან დაკავშირებით განცხადება, საზოგადოების ინფორმირება მოვახდინეთ და ვიწყებთ ხელმოწერების შეგროვებას. დაახლოებით 10 დღეში დავიწყებთ ძალიან აქტიურ კამპანიას ამ მიმართულებით.

***– ასე რატომ ეთამაშებიან ცეცხლს, თუნდაც აგენტების შესახებ კანონპროექტით?***

– ეს ყველაფერი არის რუსული დავალებების შესრულება. რასაც კობახიძე ამბობს, ზუსტად იგივე გაიმეორა დღეს მარია ზახაროვამ. ჩვენ ვთქვით, რომ ნატოში წევრიანდება უკრაინა, იმასთან ერთად ჩვენ უნდა გავწევრიანდეთ, მოლდოვას ეუბნებიან, რომ ნეიტრალიტეტის ნაცვლად ნატოში გაწევრიანდეს. ევროკავშირში გაწევრიანების დაჩქარებაზე მიდის და მოლაპარაკებების გახსნაზეა უკვე საუბარი მოლდოვასთან და უკრაინასთან და ამ დროს ესენი სინერგიაში არიან მარია ზახაროვას განცხადებებთან და მის შექებას ელოდებიან. წარმოგიდგენიათ, რა დონეზეა უკვე დეგრადირებული „ქართული ოცნება“?!



***– ექნება ამ კანონპროექტს მხარდაჭერა?***

– ყველა ის ადამიანი, რომელიც ამ კანონს მისცემს ხმას, იქნება ჩვეულებრივი რუსული წარმომადგენლობა საქართველოში! ყველა, ინდივიდუალურად! ყველა დეპუტატს აქვს ინდივიდუალური მანდატი საქართველოს კონსტიტუციით. ივანიშვილი, ღარიბაშვილი და კობახიძე არიან დამნაშავე და მე რა ვქნა? ეს არ გაუვათ, არ იქნება არცერთ შემთხვევაში! უმრავლესობის ყველა წევრი, ვინც ამ კანონს დაუჭერს მხარს, ეს ადამიანები იქნებიან რუსული ინტერესების გამტარებლები ამ ქვეყანაში! ყველაფერს ვიზამთ, რომ ვერც ევროპაში შევიდნენ, ვერც ვერსად იარონ. თავის დროზე ხომ კარგად იღებდნენ, ცოდნით დაწყებული, სხვადასხვა დაფინანსებას?! აი, ვნახოთ, რა მოუვა თითოეულ მათგანს, პირველ რიგში ქართველი ხალხისგან, რომელიც ჩამოჰკიდებს მათ იარლიყს, რომ არიან რუსული ინტერესების გამტარებლები საქართველოში.

***– ძალიან სახიფათო კანონიაო, ვისმენთ შეფასებებს. რამდენად არის შანსი, რომ გაიტანონ?***

– ჯერჯერობით 76-ზე მეტნი არიან ისინი პარლამენტში. თუ სამშობლოს ღალატს ყველა ადამიანი მოაწერს ხელს უმრავლესობაში, საკმარისი ხმები აქვთ. თუმცა ამაზე პასუხი იქნება ჩვენი მილიონი ხელმოწერის შეგროვება და მათი საბოლოოდ ჩამოშორება ხელისუფლებიდან. ამას აუცილებლად გავაკეთებთ! ამას არ აიტანს არცერთ შემთხვევაში ვერცერთი საღად მოაზროვნე საქართველოს მოქალაქე.

***– რას იტყვით მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით? დასავლეთიდან უკვე ყველა ითხოვს მის სამკურნალოდ გაშვებას. ევროკავშირის ელჩმა 27 ქვეყნის დემარში გადასცა იუსტიციის მინისტრს, თუმცა ხელისუფლება მტკიცე უარზეა. ამ მხრივ გეგმავთ რაიმე აქტივობებს?***

– სააკაშვილთან დაკავშირებით მტკიცეა ჩვენი ევროპელი კოლეგების პოზიცია. სამწუხაროდ, ამ ელჩებს დახვდათ დოქსოპულოდ გარდაქმნილი რატი ბრეგაძე, რომელიც საერთოდ არ გამოხატავს რაიმე აზრს, გარდა იმ რუსული პოლიტიკური დაჯგუფებისა, რომელსაც უნდა, საქართველო რუსეთის გავლენის ჭაობში ჩაძიროს. მე ვფიქრობ, რომ ძალიან მკაფიო იქნება ხალხის პასუხი ამ ყველაფერზე.

***– ბატონო გიორგი, სახალხო დამცველის პოსტზე ლევან იოსელიანის კანდიდატურა განიხილება. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით და რამდენად დაუჭერთ მხარს?***

– პირდაპირ გეტყვით, რომ მე ომბუდსმენის პოსტზე ლევან იოსელიანის კანდიდატურას არცერთ შემთხვევაში მხარს არ დავუჭერ. ვფიქრობ, მან კანდიდატურა უნდა მოხსნას. ლევან იოსელიანის კანდიდატურის წარდგენა ამ პოსტზე ე.წ. აგენტების კანონპროექტის გადაფარვას ისახავს მიზნად.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გაგვიბედა!“

## მურმან დუმბაძე: „საქართველოს პარლამენტში ქართველი ხალხის სახელით დაიწერა კანონპროექტი, რომელიც რუსულია და ქართველი ხალხის არჩევანთან მას არავითარი საერთო არა აქვს“



ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — ძალა ერთობაშიას“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო მურმან, მას შემდეგ, რაც „ხალხის ძალის“ მიერ განხილვაზე გატანილ კანონპროექტს დიდი ვნებათაღელვა და დაპირისპირება მოჰყვა პარლამენტში, გურამ მაჭარაშვილმა განაცხადა, რომ ვენეციის კომისიის დასკვნამდე მეორე მოსმენა არ იქნება. უკან დაიხიეს?***

— უკან დაიხიეს თუ წინ გადადგეს ნაბიჯი, ამას უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი მოხდა. საქართველოს პარლამენტში ქართველი ხალხის სახელით დაიწერა კანონპროექტი, რომელიც რუსულია, რუსულ ინტერესებს ემსახურება და მას არავითარი საერთო არა აქვს ქართველი ხალხის არჩევანთან. ამიტომ ვამბობ, მიიღონ და, რა მოჰყვება ამას, ამასაც ვნახავთ. პირობას ვდებ, მიიღებენ ძალიან ცოტა ხნით. პუტინის ფილიალი დიდხანს ვერ გაძლებს საქართველოში, არ გამოუვა. ახლა გადაწყვეტილებას იღებს ქართველი ხალხი და არა ბიძინა ივანიშვილი. სამხარაძეებსა და მაჭარაშვილებს არავინ არაფერს არ ეკითხება.

***— აქციაა დანონსებული. არასამთავრობო სექტორი აცხადებს, რომ კანონს არ გაატანინებენ. შეიძლება, პროცესებმა ქუჩაში გადაინაცვლოს?***

— არათუ შეიძლება, აუცილებელია. პროცესები ქუჩაში უნდა გავიდეს. ყველაფერი გაგვიბედა „ქართულმა ოცნებამ“. თუ გავჩუმდებით, ამ თავხედობას ზღვარი აღარ ექნება. საქართველოში რუსეთის ხელისუფლების ფილიალი უნდა აღიკვეთოს.

მთელი დასავლეთი გვეუბნება, სტრატეგიული პარტნიორი ამერიკა გვეუბნებამ თუ ამ კანონს მიიღებთ, მაშინ დაემშვიდობეთ ევროატლანტიკურ სივრცესო. ამათი მიზანიც ეს არის, რომ საქართველო დასავლური ორბიტიდან გაქრეს და სრულ იზოლაციაში იყოს.

***— იზოლაციაა ამ კანონის მიზანი?***

— აბა სხვა რა უნდა იყოს, სრული გაჩუმება, როგორც რუსეთში, მაგრამ აბა ჩვენ გვკითხონ ერთი, ჩვენი მიზანი რა არის. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, არცერთ ხელისუფლებას ეს არ ჩაუდენია, ამდენი არ გაუბედავს. ამიტომ ქართველ ხალხს სრული ლეგიტიმური საფუძველი აქვს, რომ რუსული ინტერესები საკუთარ ქვეყანაში აღკვეთოს და მას დაუპირისპირდეს. ვერ მიიღებენ ამ კანონს.

შეუძლებელია, ამ ხელისუფლებამ ამ გზით 2024 წლამდე მიატანოს. ხალხი, მთელი ოპოზიცია უნდა გამოვიდეს ქუჩაში და თავისი სათქმელი უნდა თქვას.

***— რამდენად იქნება ოპოზიცია თანმიმდევრული?***

— პროდასავლური ოპოზიცია თანმიმდევრულია. ჩვენ ცხადად ვიცით, როგორია და სად არის ამ ქვეყნის მომავალი. ქვეყნის გარეთ თუ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესები აუცილებლად გახდება დიდი ენერგიის მამოძრავებელი. ახალი მსოფლიო წესრიგი, უკრაინის გამარჯვება ნამდვილად იქნება „ქართული ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის დამარცხება.

***— რამდენად დათმობს?***

— მოუწევს. არაფერი მარტივად და ადვილად არ მიიღწევა. 9 აპრილსაც ზვიად გამსახურდიას ადვილად არ გამოუცხადებია საქართველოს დამოუკიდებლობა, ძალიან რთული და მძიმე გზა გაიარა იქამდე, მაგრამ გამოაცხადა და ეს ქართველმა ხალხმა შეძლო. ადვილი არაფერი არ არის, მაგრამ ხალხმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა. როდესაც ხელისუფლება გეუბნება, არაფერში არ მაინტერესებს შენი არჩევანი, მე მაინც ჩემსას გავიტანო, მაშინ ხალხი ვალდებულია, დაიცვას საკუთარი უფლებები. კონსტიტუციით არის გარანტირებული ამ ქვეყნის პროდასავლური კურსი.

***— აქციებზე საუბრობდით. პერმანენტულ აქციებს გულისხმობთ?***

— დიახ, რა თქმა უნდა! აქციები უნდა იყოს შედეგის დადგომამდე. ვადამდელი არჩევნებით უნდა მოხდეს ახალი ხელისუფლების ფორმირება, რომელიც ამ ქვეყანას მისცემს შანსს, დაუბრუნდეს დასავლურ კურსს. მთელი ცივილიზებული სამყარო გვეუბნება, რომ ამ ხელისუფლების პირობებში, მათ მიერ მიღებული კანონების პირობებში ჩვენ ეს შანსი არ გვაქვს. ამაზე ხომ უნდა დავფიქრდეთ. არ შეიძლება, ქვეყანა ამ რისკის წინაშე დავაყენოთ. მართლაც საუკუნეში ერთხელ თუ ეძლევა ასეთი შანსი ქვეყანას. შეუძლებელია, ამაზე უარი ვთქვათ. სრული პროტესტი იმის მიმართ, რასაც ესენი აკეთებენ. არ უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რომ ასეთი მავნებლობა მშვიდად გააგრძელონ. ხალხი ამაზე უნდა დაფიქრდეს.

# „ჩემთვის რომ ეკითხა, ვეტყოდი, რომ ახლა ამ კანონპროექტის შემოტანის დრო არ არის“

## პეტრე მამრაძე: „დასავლეთში არაერთი განცხადება გაკეთდა, რომ საქართველო პარტნიორია და დერეფანი უნდა იყოს. ეს იზოლაციაა?“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.



***— ბატონო პეტრე, მართალია, მმართველი პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიხეილ სააკაშვილი იმდენად პოლიტიკური „ლუზერი“ გახდა თავისი ტირილით, თაღლითობით, რაღაცების მოგონებით და თავი ისე „გაიბანძა“, რომ არაფრის თავი აღარ აქვს, მაგრამ ჩვენ ვნახეთ ევროკავშირის ქვეყნების ე.წ. დემარში. ეს ყველაფერი რას ნიშნავს?***

— ჯერ ერთი, დემარში არ უნდა გავაზვიადოთ, რომ 27-მა ქვეყანამ, სახელმწიფომ და ა.შ... ასე ნამდვილად არ არის. ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა თბილისში, საქართველოში შვედეთის ელჩთან ერთად (შვედეთი ახლა ევროკავშირის თავმჯდომარეა) თქვა, გადავეცით ჩვენი დემარში, რომელიც ევროკავშირის წევრების აზრს ასახავსო.

ეს სხვა რამ არის. 27 ქვეყნის დონეზე დემარში მართლა რომ ყოფილიყო, სულ სხვა ფორმატითა და სულ სხვანაირად იქნებოდა. გარდა ამისა, ჩვენ ვხედავთ, რაც ხდება.

***— რას გულისხმობთ?***

— ხდება ის, რომ თვეების განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ აღვირახსნილი პიარკამპანია მიმდინარეობს. ამ კამპანიაში ფაქტებს აღარ უყურებენ, ტექსტებს აღარ განიხილავენ და ლოზუნგებს, კლიშეებს ხმარობენ. ამას სტიგმატიზაცია ჰქვია. ამას პიარკამპანიის დროს და მიტინგებზე აკეთებენ. მიტინგებზე იყვირებენ, ადამიანს სუკის აგენტს უწოდებენ. მერე ვინ იტყვის იმას, რომ ის ადამიანი სუკის აგენტი არასოდეს ყოფილა და საერთოდ საფუძველი ჰქონდა თუ არა ამგვარ განცხადებას.

მაგალითად, „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონპროექტი. არ ვამბობ, რომ „ხალხის ძალამ“ კანონპროექტი დროულად შემოიტანა. ვინმეს ჩემთვის რომ ეკითხა, ვეტყოდი, რომ ახლა ამ კანონპროექტის შემოტანის დრო არ არის, პიარკამპანია ატყდება.

ეუბნებიან, ამერიკული ვარიანტი სიტყვასიტყვით ვთარგმნეთო. მაინც პასუხობენ, არა, ეს რუსული კანონიაო. ჰკითხეს, სიტყვასიტყვით ვთარგმნეთ ამერიკული ვარიანტი და რატომ არის რუსულიო, მაგრამ მაინც თავისას გაიძახიან, რუსულიაო. ასე რომ, ეს ფაქტორი არსებობს.

ეს არ უნდა ავურ-დავურიოთ იმაში, რომ ამით სააკაშვილის ქმედებაუნარიანობა კი არ გაიზარდა, უბრალოდ, სხვადასხვა მიზეზის გამო დასავლეთის გარკვეულ წრეებში დამკვიდრდა აზრი, რომ თურმე საქართველოს მართავს რუსი ოლიგარქი, რუსეთის გამოგზავნილი, რომელიც პუტინის დავალებებს ასრულებს, შესაბამისად, საქართველო მთლიანად რუსეთის გავლენის ქვეშ, რუსულ ორბიტაზე მოაქცია, რუსულ საქმეს აკეთებს.

თანაც, რაც მთავარი და მიუღებელია, არავითარი თანამდებობა არ უჭირავს. თვითონ ფარდის მიღმაა, პატარა მარიონეტებს სხვადასხვა ადგილზე სვამს, თვითონ ძაფის ბოლო ხელში უჭირავს და, როგორც მარიონეტებს, ისე ახტუნავებს. დასავლეთის პოლიტიკური ელიტების ნაწილში ასეთი აზრი დამკვიდრდა.

***— ეს ხომ ნაცმოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის გავლენების შედეგი და მათი დამსახურებაა.***

— კი. აქ ორი ფაქტორია. ერთია სააკაშვილისა და ნაცების ძალიან აქტიური მუშაობა 10 წლის განმავლობაში. 2011 წლის შემოდგომაზე ივანიშვილმა ღიად გამოაცხადა, რომ პოლიტიკაში შემოსვლასა და თავისი პარტიით არჩევნებში მონაწილეობას აპირებდა. მაშინაც გაჰკიოდნენ ეს არაკაცები, არაქალები და ნაძირალები (უფრო რბილ სიტყვებს ვერ ვპოულობ).

***— ნაცებზე ამბობთ?***

— ნაცებსა და მათთან ასოცირებულ ყველა ადამიანზე ვამბობ. მაშინვე აკივლდნენ, რომ ჩამოვიდა რუსი ოლიგარქი, პუტინმა 5 მილიარდი დოლარი მისცა იმისათვის, რომ საქართველოში რეჟიმი შეცვალოსო, კიოდნენ და კიოდნენ. მაშინ მაკკეინმა პრესკონფერენციაზე სააკაშვილს პოლიტიკური სილაც კი გააწნა.

***— როგორ?***

— სააკაშვილმა ივანიშვილზე რაღაცები იბოდიალა. ამის საპასუხოდ მაკკეინმა თქვა: ჩვენ შევამოწმეთ ივანიშვილი და არავითარი რუსული ფული და არავითარი რუსული ხელი მის უკან არ არისო. ცინიზმი, თაღლითობა და შემზარავი ტყუილი იმაში მდგომარეობს, რომ წლების განმავლობაში ივანიშვილი აფინანსებდა ყველა რეფორმას, რომლებიც ნაცმოძრაობის მიერ წარმატებით ჩატარდა.

ყველამ იცის, რომ ივანიშვილმა მილიარდები დახარჯა ინფრასტრუქტურის, საბაჟოს, პოლიციის, თავდაცვის სფეროებში. თავიდან ხაზინა ცარიელი იყო და სწორედ ივანიშვილმა გადაარჩინა ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლება სრულ ფინანსურ კოლაფსს. ბიუჯეტში კაპიკი აღარ იყო და დააფინანსა, ხელფასები გადაუხადა.

მაშინ ივანიშვილის ფინანსები რუსული ფული არ იყო და რუსულ საქმეს არ აკეთებდა, მისი ფულით ქვეყანაში რეფორმები რომ ჩატარდა? მაშინ ივანიშვილი ოლიგარქი არ იყო, 2007 წლის გაზაფხულზე მერაბიშვილი რომ შეეხვეწა და მერაბიშვილი, სააკაშვილი, ბოკერია ივანიშვილთან ერთად დასხდნენ და ეკითხებოდნენ, ცხინვალში ჯარის შეყვანა გვინდა და რას იტყვიო?

მაშინ ივანიშვილმა სააკაშვილს, მერაბიშვილსა და ბოკერიას აუხსნა, კატასტროფა იქნება, ხალხო, ცხინვალის რეგიონს სამუდამოდ დავკარგავთ, ეს კი საქართველოს კატასტროფა იქნებაო, რაც ივანიშვილმა შემდეგ თავის წერილში გაიხსენა: 40 წუთში დავუმტკიცე, რომ ეს კატასტროფა იქნებოდა. მაშინ კი დავუმტკიცე, მაგრამ წელიწად-ნახევარში მაინც ის გააკეთეს, რასაც ბოკერიას გეგმა ითვალისწინებდაო. კიდეც დადგა შედეგი.

ივანიშვილი საქართველოს ეხმარებოდა, მაგრამ იმ ფულს ხომ მათ აძლევდა! ამ ურთიერთობის შემდეგ, როცა ქვეყანასა და ხელისუფლებას ასე ეხმარებოდა, გოკა გაბაშვილი ყვიროდა, დაგვაფინანსოს, ძველებურად ფული მოგვცეს, მაგრამ ნუ ერევაო.

***— ანუ არ უნდოდათ, ივანიშვილს ეკითხა, მის მიერ მიცემული ფული რაში იხარჯებოდა?***

— მაშინ ივანიშვილი კმაყოფილი იყო მერაბიშვილით, როცა სამინისტროს ფულს ვაძლევ, ფული არ იფლანგებაო. მართლაც მერაბიშვილი დიდ ფულს სხვანაირად აკეთებდა და ივანიშვილის ფულს არ იპარავდა, მაგრამ ამბობდნენ, შენ ფული მოგვეცი, ოღონდ პოლიტიკაში ნუ ჩაერევიო.

***— კი, მაგრამ ახლა ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ყველაფერი ხელისუფლებისა და საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენონ. სანამ ევროკავშირისა და შვედეთის ელჩები საქართველოს იუსტიციის მინისტრთან წერილს მიიტანდნენ, ლატვიის პრეზიდენტმა ტვიტერით მოუწოდა ხელისუფლებას, მიხეილ სააკაშვი-***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ნიკა გვარამია: „ის, რაც პარლამენტში ხდება, ხელისუფლების უზურპაციისა და ავტორიტარიზმის სრული კონსოლიდაციის მიზნით მიმდინარე კონსტიტუციური გადატრიალებაა“



— უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ქვეყანა ჩვენი გადასარჩენია, წარუმატებელი ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს! არა რუსულ კანონს, — ასე ეხმაურება „მთავარი არხის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია „ოცნების“ მიერ პარლამენტში რუსული კანონის განხილვის დაწყებას.

— დღეს რაც პარლამენტში ხდება, ხელისუფლების უზურპაციისა და ავტორიტარიზმის სრული კონსოლიდაციის მიზნით მიმდინარე კონსტიტუციური გადატრიალებაა.

ამ პუტინისტურ რეჟიმთან ფსევდოკონსტრუქციული კეკლუცობის დრო ნამდვილად არაა! ამათთვის საქმიანი ატმოსფეროს რეჟიმში „ფუსფუსი“ მხოლოდ დემოკრატიის ფასადის შექმნაა. ამ ანტიქართული და ანტიდასავლური რეჟიმისთვის, რაც აძლიერებს და ახანგრძლივებს მხოლოდ მას, აზიანებს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და გვაშორებს დასავლეთს.

ვინც რასაც არ უნდა გვირჩევდეს, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ქვეყანა ჩვენი გადასარჩენია. ამის პასუხისმგებლობა მხოლოდ ჩვენზეა და წარუმატებელი ექსპერიმენტების დრო არ გვაქვს! სამშობლოს ინტერესი აღმატებულია ყველა ინტერესზე და აქედან უნდა ამოვიდეთ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას!

არა რუსულ კანონს!

არა რუსულ ხელისუფლებას! — წერს ნიკა გვარამია.

# „პრობლემები რუსეთს ერთ-ორ წელიწადში დაამთავრებს“

## „რუსეთის მთავრობამ დაადასტურა, რომ სანქციები მუშაობს“

მარიამ მჭედლიშვილი

**— ჯერჯერობით სანქცირებულ რუსეთს აქვს უკრაინაზე იერიშების გაგრძელების შესაძლებლობები, თუმცა გამომფიტველ ომს უზარმაზარი სახსრები ესაჭიროება. რუსეთის შესაძლებლობების ამოწურვა გარდაუვალია, — აცხადებს მსოფლიოში აღიარებული უკრაინელი ეკონომისტი იური გოროდნიჩენკო. იგი ხელმძღვანელობს მეცნიერთა იმ ჯგუფს, რომელსაც ეკონომიკური მდგომარეობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა უკრაინის ეკონომიკის აღდგენის გეგმის მომზადება დაუკვეთა. იური გოროდნიჩენკოს უკრაინული მედია ესაუბრა.**



***— თქვენთან გასული წლის მაისში ვისაუბრეთ. მაშინ აღნიშნეთ: 12 თვის შემდეგ ვნახავთ, როგორი საგრძნობია რუსეთზე სანქციების მოქმედებაო. ერთი წელი არ გასულა, მაგრამ მაინც გვითხარით, რა მოხდა ამ პერიოდის განმავლობაში?***

— მთავარი ისაა, რომ სანქციები დაედო რუსეთის ენერგომატარებლებს. სამწუხაროდ, ეს მოხდა დეკემბერ-იანვარში და არა მანამდე. ამიტომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სანქციები იგვიანებს. ჯობია გვიან, ვიდრე არასდროს. შედეგები აშკარაა: სანავთობო შემოსავლები იკლებს, რაც ზრდის რუსეთის ბიუჯეტის დატვირთვას. მათ ბიუჯეტში გარღვევა აქვთ. როცა შემოსავლები მცირდება, ომის ხარჯები კი მუდმივად მაღალი რჩება, ეკონომიკის ფრონტის მხარდაჭერა ძალიან რთულია.

***— ეკონომისტები, ჟურნალისტები ამბობენ, რომ პუტინს საკმარისი ფული აქვს ომის გასაგრძელებლად, რომ ბირთვული ელექტორატის შენარჩუნებისთვის სახსრები ჰყოფნის. ამას ეთანხმებით?***

— საბჭოთა კავშირი არმიაზე ბევრად მეტ ფულს ხარჯავდა. რაღაც მომენტში ეს ფული გათავდა. წარმოიშვა დიდი სოციალური აფეთქება, რომელმაც „დაამთავრა“ სსრკ-ის სიცოცხლე. ომის ტემპი ისეთია, რომ ფული ძალიან სწრაფად იხარჯება.

***— მოსალოდნელია ორჯერ ნაკლები შემოსავლები ენერგეტიკიდან. რამდენი ხანი ეყოფა ფული პუტინს?***

— რამდენი თვე ეყოფა, არ ვიცი, იმას კი ვიტყვი, რომ ოდესმე ეს ფული გამოილევა. რუსეთის მთავრობამ პირდაპირ დაადასტურა, რომ სანქციები მუშაობს. სხვა შემთხვევაში, გაუგებარია, რისთვის გახდა საჭირო ეკონომიკური მონაცემების გასაიდუმლოება.

***— ენერგეტიკის გამო საბჭოთა კავშირის ნგრევა 10-15 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ნუთუ ახლაც ასეთი ხანგრძლივი პროცესი იქნება?***

— ახლა დრო უფრო სწრაფად გადის. სსრკ იყო ავტარკია, არავისზე არ იყო დამოკიდებული. უშვებდნენ „ჟიგულის“, რომლის სათადარიგო ნაწილები მზადდებოდა შიგნით საბჭოთა კავშირში. ამჟამად რუსეთი ყველა დონეზე სხვაზეა დამოკიდებული, სმარტფონებით დაწყებული, ავტომანქანის ნაწილებით დამთავრებული. თითოეული ამ ელემენტებიდან რუსეთის ეკონომიკის კოლაფსს არ გამოიწვევს, მაგრამ, თუ ეს ყველაფერი შეიკრიბება, ყველა აგური ერთად შექმნის სულ უფრო და უფრო დიდ პრობლემას. ვფიქრობ, რომ რუსეთი საბჭოთა კავშირზე ადრე დაამთავრებს, იმედი მაქვს — ერთ-ორ წელიწადში.

***— დასავლეთმა, როგორც იქნა, გადაწყვიტა, რომ შეუძლია უარი თქვას რუსეთის ენერგომატარებლებზე. ამასთან, იგი არ აკისრებს მეორად სანქციებს ჩინეთსა და ინდოეთს, რომლებიც მოიხმარენ რუსულ ნავთობს და ამით აფინანსებენ რუსეთის არმიას. დასავლეთი ასევე მეორად სანქციებში არ აქცევს კონტრაბანდისტებს, რომლებიც რუსეთს ეხმარებიან სანქციებისათვის გვერდის ავლაში. რატომ ხდება ეს?***

— მგონია, რომ მათ სანქცირების ასეთი ფილოსოფია აქვთ. მაგალითად, დაბომბეს უკრაინის რომელიმე ქალაქი — ყველანი შეძრწუნდნენ და თქვეს, რომ სანქციები უნდა გაიზარდოს. სხვა ქალაქი დაიბომბა — დაამატეს სანქციები.

პირადად მე მიმაჩნია, რომ ეს არასწორი ტაქტიკაა. სანქციები ახლავე მაქსიმალურად უნდა შემოიღონ, ვინაიდან, თუ ჩვენ დროს გავჭიმავთ, ეს რუსეთს შესაძლებლობას მისცემს, შემცვლელები მოიძიოს.

***— თქვენი აზრით, რამდენად ითვალისწინებს აშშ ჩინეთის პოზიციას?***

— ჩინეთს მთელი ამ ხნის განმავლობაში მიანიშნებენ, რომ თუ რუსეთთან ივაჭრებს, ამას შედეგი მოჰყვება. მსხვილი ჩინური კომპანიებიდან რუსეთთან კავშირი ბევრს აღარ დარჩა. სანქციებში მოხვედრა მათაც არ სურთ.

# პრეზიდენტი: „ანტიკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს და აიკრძალოს ყველა იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრინციპებს, ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის მიერ არჩეულ გზას“



— საგანგაშოა პარლამენტის წევრის მიერ კონსტიტუციის საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთება.

ქვეყნის უზენაესი კანონი კონსტიტუციურ ორგანოებს ავალდებულებს ყველა ზომის მიღებას ევროპის კავშირში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში სრული ინტეგრაცია საქართველოს კონსტიტუციით გაცხადებული მიზანია.

ანტიკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს და აიკრძალოს ყველა იმ პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციის პრინციპებს, ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის მიერ არჩეულ გზას, — განაცხადა პრეზიდენტმა.



# შაჰინი: „უცხოელ აგენტებზე კანონპროექტი ამერიკული კანონის მსგავსი არ არის“

ამერიკელი სენატორი ჯინ შაჰინი ამბობს, რომ საქართველოში „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი ამერიკული კანონის მსგავსი არ არის.

— ვფიქრობ, ეს კანონი ძალიან შემაშფოთებელია. ჩვენ კანონის შესახებ ჩვენი შეშფოთება გამოვთქვით მთავრობის ლიდერებთან, რომლებსაც შევხვდით. ეს არის რუსეთში არსებული მსგავსი კანონის ანარეკლი, რომლის შედეგადაც ვნახეთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა რუსეთი დატოვა. ეს იყო მიზანმიმართული მცდელობა, გავლენა მოეხდინათ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, მედიაზე, მედიის თავისუფლებაზე რუსეთში. მე ვშიშობ, რომ ეს იმავე შედეგს მოიტანს საქართველოშიც. ეს კანონი საერთოდ არ ჰგავს უცხო ქვეყნის აგენტების შესახებ იმ კანონს, რომელიც შეერთებულ შტატებში გვაქვს. წლების განმავლობაში მე ვმუშაობ ამ კანონის რეფორმაზე და ვიცი, რომ ეს იგივე არ არის, — ამბობს ჯინ შაჰინი.

# „ჩემთვის რომ ეკითხა, ვეტყოდი, რომ ახლა ამ კანონპროექტის შემოტანის დრო არ არის“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***ლის უფლებების დაცვა უზრუნველყოს, მათ შორის, სამედიცინო უფლებები, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებისა და მისწრაფებების შესაბამისად, ანუ საკითხი იმდენად აგორებულია, ასეთ განცხადებებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებიც აღარ ერიდებიან.***

— პოსტსაბჭოთა აქ არაფერ შუაშია. ბალტიის ქვეყნები ნატოს მოწინავე რიგებში არიან. ამ ქვეყნებმა იციან, რუსეთს მათ მიმართ რის გაკეთება შეუძლია და ამიტომ ყველა მიმართულებით აქტიურობენ.

ჩვენ დავიწყეთ პირველი ფაქტორით, ანუ ნაცების აქტიური მუშაობით, რომელიც ივანიშვილის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 2011 წლის შემოდგომაზე დაიწყო. 11 წელზე მეტია, ნაცმოძრაობა და სააკაშვილი ივანიშვილისა და „ოცნების“ წინააღმდეგ მუშაობენ, ფულსაც ხარჯავდნენ, აქციებსა და პერფორმანსებსაც მართავდნენ, რომ მათი აზრი დაემკვიდრებინათ.

მაგალითად, დაამკვიდრეს აზრი, რომ სააკაშვილი პიჯაკების გამოა დაპატიმრებული.

მეორე ფაქტორი — კი მაგრამ, 11 წლის განმავლობაში „ოცნებამ“ საკმარისი გააკეთა, რომ დასავლეთის შესაბამის წრეებამდე სიმართლე დამაჯერებლად მიეტანა?

***— მეც მომისმენია აზრი, რომ „ოცნებასა“ და ბიძინაზე ახია, მოსვლისთანავე სააკაშვილსა და ნაცებს ხელი რომ ჩამოართვა და დაუზავდაო. დაუზავდნენ და უკუღმა ხომ არ მოუბრუნდათ?***

— ნამდვილად ამის ფაქტორიც არსებობს, მაგრამ ივანიშვილს ვერაფრით დაადანაშაულებ იმაში, რომ თქვა, ტოლერანტული ვარ და პოლიტიკური ნიშნით არავის ვდევნითო.

***— ფული? ფული რატომ არ დააბრუნებინა? ერთხელ ივანიშვილმა თქვა, ნაცმოძრაობის ლიდერებს 9 მილიარდი აქვთ წაღებულიო. შემდეგ თქვა, შეიძლება, მათ მიერ ქვეყნიდან გატანილი ფული 18 მილიარდამდეც კი აღწევდესო.***

— მეტსაც გეტყვით, ჩემი გამოსვლა და თქვენი საგაზეთო წერილებია 5 წლის წინ, გამოდის ივანიშვილი და ამბობს, ყველამ უნდა იცოდეს, რომ 2008 წელს სააკაშვილმა და სხვებმა — ნაცებმა სამშობლოსა და სახელმწიფოს ნამდვილი ღალატი, დანაშაული ჩაიდინეს, რაც 100%-ით ასეა. ეს კიდევ რბილი ნათქვამია. იგივე გაიმეორეს „ოცნების“ ლიდერებმა.

მე გამოვედი და ვთქვი, მე ვარ დამოუკიდებელი ანალიტიკოსი, ამაზე წიგნს ვწერ, სადაც 300 გვერდზე დოკუმენტურად დამტკიცებული მაქვს, რომ ეს იყო საშინელი ღალატი, სახელმწიფოს, სამშობლოს ღალატი, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული მოქმედება.

სააკაშვილი და ბიძამისი, თემურ ალასანია, მოქმედებდნენ, როგორც პუტინის პირდაპირი გოშიები და მისი ნების შემსრულებლები. გასაგებია, მაგრამ, „ოცნების“ ლიდერები რომ ამბობენ, მათი მოსვლიდან 10 წელია გასული და ეს ღალატიაო, მაშინ კითხვებს პასუხი ხომ უნდა გასცენ: კი, მაგრამ გამოიძიეთ? გამოძიება თქვენს ხელში არ იყო? მე რომ მეუბნები, ღალატიაო, მე კი ვიცი, რომ ღალატია, მაგრამ შენ გამოიძიე?

***— აგვისტოს ომის გამოძიებაზეა საუბარი, ხომ? როგორც ჩანს, ახლა საქმე იქამდე მიდის, რომ ალბათ გამოიძიებენ.***

— კაი დროსია. ჯერ მხოლოდ ლაპარაკია და ისიც ინჯიამ დაიწყო. ლაფანყურის საშინელი, სისხლიანი, მზაკვრული, მასობრივი მკვლელობა ადამიანებისა, რომლებიც თვითონ სააკაშვილმა გააგზავნა ოპერაციის შესასრულებლად, გამოიძიეს და საქმე სასამართლოს გადასცეს.

სააკაშვილმა დაავალა მათ, გადასულიყვნენ რუსეთში. შემდეგ ქისტებს თუ ჩეჩნებს, რომლებიც საქართველოში მათ მიერ იყვნენ ჩამოყვანილი და გაწვრთნილი, იარაღი მისცეს და გააგზავნეს, ქართველი ოფიცრებიც გააყოლეს, რომლებიც სხვებთან ერთად ჩაცხრილეს. მათ შორის, მსოფლიო ჩემპიონი ჩოხელი დაიღუპა.

ესეც გამოუძიებელია. რა მოხდებოდა, რომ ცხელ კვალზე, 2013 წელს გამოეძიებინათ? გამოიძიეს, ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა თქვეს, ახლა ამ საქმეს სასამართლოს გადავცემთ და ჩვენი საზოგადოება საშინელებას გაიგებსო. ახლა რომელი წელია? 2023. საშინელება ვინმემ გაიგო? არა.

სამწუხაროდ, დასავლელ პარტნიორებთან სიმართლის მიტანა არ ხდება. ლატვიის პრეზიდენტმა იცის, რომ 10 თვეა მიხეილ სააკაშვილი სრულ ფუფუნებაში ცხოვრობს, ისე, როგორც არცერთ პატიმარს არ უცხოვრია კაცობრიობის ისტორიაში და ჩიტის რძე არ აკლია.

დედიკოს დღეში ორჯერ მიაქვს საჭმელი. ამას გიული ალასანიას ინტერვიუდან ვამბობ (ოფიციალური ინტერვიუ რუსეთის ტელევიზიისთვის). დღეში ორჯერ მივდივარ, საჭმელი მიმაქვსო. 16 ექიმი ადგას თავზე, დედიკოს მიერ შერჩეული. 10 თვეში უკვე 2.000 მნახველი ჰყავს.

გაუგებარია, ლატვიის პრეზიდენტი რომელი უფლებების დაცვაზე ლაპარაკობს, მაგრამ პრეტენზია ლატვიის პრეზიდენტთან უნდა გვქონდეს თუ ხელისუფლებასთან, რომელმაც ეს დოკუმენტაცია და სიმართლე მათთან ვერ მიიტანა, თორემ ხმასაც ვერ ამოიღებდნენ.

ამასობაში გიულიმ მილიონი დოლარი გადაიხადა (რაც დოკუმენტურად ვიცით) და სი ენ ენმა 12-წუთიანი რეპორტაჟი გაუშვა, როგორ ნელი სიკვდილით, სვენებ-სვენებით „კლავენ“ მიხეილ სააკაშვილს.

***— სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო იზოლაციაშია. მიხეილ სააკაშვილი მიმართავს სალომე ზურაბიშვილს, ახლა წყენების დრო არ არის, მსოფლიოს გააგებინოს, რომ საქართველო იზოლაციაშია და რომ მისი მთლიანად ოკუპაცია მზადდებაო.***

— დემენცია სჭირს და რატომ უნდა დავუჯეროთ და განვიხილოთ დემენციის მქონე ადამიანის აზრი?

სააკაშვილს მაშინაც დემენცია სჭირდა, როცა პრეზიდენტი გახდა. ცვლილებას ვერ ვხედავ, ახლაც იგივეა. ჩვენი თავდაცვის მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის ვიზიტი აშშ-ში და ამერიკის თავდაცვის მდივან ოსტინის განცხადება, რომელიც დაიდო ყველგან, იზოლაციაა? დასავლეთში არაერთი განცხადება გაკეთდა, რომ საქართველო პარტნიორია და დერეფანი უნდა იყოს. ეს იზოლაციაა?

***— მაშინ, პრეზიდენტი ზურაბიშვილი რატომ აცხადებს, რომ საქართველო იზოლაციისკენ მიდის?***

— შეიძლება ზურაბიშვილი იმის გამო აცხადებს ამას, რომ, რჩება რა საფრანგეთის მოქალაქედ, გაზრდილია საფრანგეთში, მშობლიური ენა ფრანგულია, ფრანგების დიპლომატი იყო, საპატიო ლეგიონის ორდენიც კი აქვს მიღებული, მისთვის დასავლეთის ლიდერებთან ურთიერთობა ბევრად ახლობელია.

ხშირად ყველაფერს მათი თვალებით ხედავს, წუხს იმაზე, რომ საქართველო ამ ოჯახის აქტიური წევრი არ არის. საფრანგეთი ბირთვული სახელმწიფოა, გაეროს უშიშროების მუდმივი წევრი. ქალბატონი სალომე ამას მიჩვეულია და ხშირად ამ პათოსით ლაპარაკობს.

***— კი მაგრამ, ქვეყანა ამით ხომ ზიანდება?***

— დიახ, სამწუხაროდ. საქართველოში დედაქალაქიდან 30 კილომეტრში რუსის ტანკები დგას. პარიზიდან 30 კილომეტრში რუსის ტანკები რომ იდგეს, მაშინ ნახავთ, როგორ მოიქცევა მაკრონი.

## „სარფის“ საბაჟო-გამშვებ პუნქტში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული მედიკამენტები აღმოაჩინეს



საბაჟო-გამშვებ პუნქტ „სარფში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო შემოტანის მცდელობის ფაქტები აღკვეთეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცნობით, საქმის მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულს გადაეცა.

სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის კონტროლის ზონაში შემოვიდა საქართველოს 2 მოქალაქე ნ.ვ. და ხ.გ. აღნიშნული მოქალაქეების ეჭვის საფუძველზე, ფიზიკური და ბარგის, დათვალიერების შედეგად, 608 აბი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი მეტადონი და 112 კაფსულა პრეგაბალინის შემცველი ფსიქოტროპული საშუალება (აღნიშნული აკრძალული მედიკამენტები სპეციალურ შეფუთვებში იყო დაფასოებული) აღმოაჩინეს.

## ახმეტაში 44 წლის კაცი დაჭრეს

ახმეტაში 44 წლის ბექა ონიაშვილი დაჭრეს. შემთხვევა 27 თებერვალს, ღამით მოხდა. ონიაშვილს ცეცხლსასროლი იარაღით ფეხის არეში აქვს ჭრილობა მიყენებული. ის კატასტროფის ბრიგადამ თბილისში გადაიყვანა.




ადგილობრივების ინფორმაციით, ონიაშვილს ახმეტაში მცხოვრები ძმები თილილაურები დაუპირისპირდნენ.

ერთ-ერთი ვერსიით, ისინი ონიაშვილისათვის ფულის გამოძალვას ცდილობდნენ, რასაც მხარეებს შორის დაპირისპირება მოჰყვა.

დაშავებულია კიდევ 2 ადამიანი. „მთავარი არხის“ ინფორმაციით, ახალგაზრდებს ახმეტის პოლიცია ფიზიკურად გაუსწორდა და მათგან თავდამსხმელის ვინაობის დადგენას ითხოვდა. თუმცა, დაზარალებულებს მომხდარზე საუბარი არ სურთ. ერთ– ერთი მათგანი კლინიკაშია გადაყვანილი. ონიაშვილის მხარე კი აცხადებს, რომ მამაკაცს თოფი თავად გაუვარდა და ფეხში დაიჭრა.

ბექა ონიაშვილი ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია. თითქმის ყველა ინფრასტრუქტურულ ტენდერში მისი კომპანია იმარჯვებს.

## გურჯაანის ცენტრში მსუბუქი ავტომობილი დაიწვა



გურჯაანის ცენტრში მსუბუქი ავტომობილი დაიწვა.

მანქანას ცეცხლი მოულოდნელად გაუჩნდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ავტომობილის მფლობელს უჭირს მიზეზებზე საუბარი, თუ რას შეიძლება გამოეწვია აალება. მისი თქმით, ავტომობილი ტექნიკურად გამართული იყო. ადგილზე სახანძრო-სამაშველო სამსახური ამ დრომდე მუშაობს.

## მიხეილ სააკაშვილის სასჯელისგან გათავისუფლების ან გადავადების შუამდგომლობა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც არ დააკმაყოფილა





თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სააკაშვილის უფლებადამცველმა შალვა ხაჭაპურიძემ განუცხადა, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიხეილ სააკაშვილის სასჯელისგან გათავისუფლების ან გადავადების შუამდგომლობა დაუსწრებლად განიხილა და საქალაქოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

როგორც მან აღნიშნა, ადვოკატები პროცესს არ დასწრებიან.

ცნობისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი სასჯელისგან არ გაათავისუფლა და არც გადაუვადა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი არევაძემ გამოაცხადა.

## 32 წლის ბიზნესმენი წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმება



გორში მომხდარი მკვლელობის საქმეზე დაკავებული 32 წლის ბიზნესმენი წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმება. ნიკა საბაშვილი ამბობს, რომ ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები მას „ქურდულ სამყაროსთან“ ურთიერთობის დალაგების სანაცვლოდ ყოველთვიურად ფულს სთხოვდნენ და ემუქრებოდნენ.

– რამდენიმე დღის წინ მასთან მივიდნენ გარდაცვლილი და მისი თანმხლები პირი, რომლებმაც უთხრეს, რომ მათთვის ყოველთვიურად უნდა გადაეხადა გარკვეული თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მუქარა გამოითქვა ბრალდებულისა და მისი ძმის ოჯახის წევრების, შვილების მიმართ. ის წარდგენილ ბრალდებას არ ეთანხმება და ამბობს, რომ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და თავს იცავდა, – თქვა ადვოკატმა.

საბაშვილის აღკვეთის ღონისძიებაზე სასამართლო დღეს იმსჯელებს. დაკავებულს ბრალის დამტკიცების შემთხვევაში 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ცნობისთვის, სროლა 28 თებერვალს მოხდა,

## ლაგოდეხში სამი პირი ცივი იარაღით დაჭრეს

ლაგოდეხის ცენტრში სამი პირი ცივი იარაღით დაჭრეს. შემთხვევა გუშინწინ, გვიან ღამით მოხდა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდებს შორის ყოფით ნიადაგზე დაწყებული შელაპარაკება ჯერ სიტყვიერ, ხოლო შემდეგ ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

კონფლიქტის დროს ერთმა პირმა სამ ახალგაზრდას ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენა.

დაშავებულთა მკურნალი ექიმის ინფორმაციით, მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. სავარაუდო დამნაშავე დაკავებულია.

საზოგადოება

## რამდენი ათასი ლარი დაუჯდებათ სტუდენტებს ჯარიდან გადავადება



თავდაცვის ახალ კოდექსთან დაკავშირებით „ღამის კურიერის“ ეთერში თავდაცვის მინისტრმა ისაუბრა. მან განაცხადა, რომ სტუდენტთა გარკვეულ ოდენობას შეეხება სამხედრო სამსახური, თუმცა, რა პრინციპით მოხდება არჩება, არ უთქვამს, მან თქვა: „სტუდენტობა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ იქნება ესა თუ ის სტუდენტი გაწვეულთა სიაში“. მინისტრმა განაცხადა ისიც, რომ პირველ ეტაპზე შესაძლოა გაწვევა სტუდენტთა მცირე ნაწილს შეეხოს, თუმცა, ვის შეეხება, ავტომატურად თუ არ ხდება არჩევა, ვინ ირჩევს და რა პრინციპით, ეს ისევ არ უთქვამს. როგორც მინისტრი ამბობს, კანონი ეხება იმ სტუდენტებსაც, ვინც უცხოეთში სწავლობს, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ისევ, არც აქ არ ამბობს, ვინ ირჩევს სტუდენტების იმ ჯგუფს, ვისაც ჯარში გაწვევა ეხება და ვინ წყვეტს, რომელ სტუდენტს არ შეეხება სამხედრო სამსახური.

– სტუდენტს ექნება არჩევანის საშუალება, ასევე ექნება უფლება, გამოხატოს საკუთარი ნება და ნებაყოფლობით გაიაროს გაწვევამდე სავალდებულო სამსახური. ნებისმიერ სტუდენტს წლის განმავლობაში შეეძლება, მხოლოდ ზაფხულში 1 თვით გაიაროს მომზადება და აღარ იქნება იგი ვალდებული სავალდებულო სამსახურის მიმართ.

უცხოეთში ვინც სწავლობს, იმ სტუდენტებს რაც შეეხებათ, მათაც ექნებათ იგივე საშუალება, შეიძლება სტუდენტმა ისწავლოს საზღვარგარეთ, აირჩიოს ეს პროგრამა და წლის განმავლობაში ერთხელ – ზაფხულში ჩამოვიდეს და გაიაროს საწყისი მომზადების კურსი.

გადავადება იქნება მხოლოდ ერთხელ – თანხის, 10.000 ლარის სანაცვლოდ. იგი ავტომატურად აღარ მოხვდება შესარჩევთა სიაში და ავტომატურად იქნება ვალდებული, შემდეგ წელს გაიაროს სავალდებულო სამსახური, – აცხადებს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე.

## მეუფე ნიკოლოზი: „ოდნავ ეჭვი რომ მქონდეს, მიხეილ სააკაშვილი ამას განგებ აკეთებს, ზიარების უფლებას არ მივცემდი“



ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტის, მეუფე ნიკოლოზის განცხადებით, ოდნავ ეჭვი რომ ჰქონდეს, მიხეილ სააკაშვილი ამას განგებ აკეთებს, მას ზიარების უფლებას არ მისცემდა.

როგორც მან კლინიკა ,,ვივამედში“ ყოფილი პრეზიდენტის მონახულების შემდეგ აღნიშნა, სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ გაუარესებულია.

– მე განვაცხადე და კიდევ ერთხელ ვიტყვი, მე ოდნავ მაინც ეჭვი რომ მქონდეს, ის ამას განგებ აკეთებს, არავითარ შემთხვევაში მას ზიარების უფლებას არ მივცემდი. კვირაში ერთხელ მოვდივარ და მას ვხვდები, კარგს ვერაფერს გეტყვით. ორი კვირის წინ რომ ვიყავი, მაშინ წინა შეხვედრასთან შედარებით ძალიან დიდი სხვაობა იყო და ახლაც ძალიან დიდია სხვაობა, თან ძალიან ცუდისკენ, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

## თბილისის სატრანსპორტო კომპანია ავტობუსის ქალი მძღოლის მოსამზადებელ კურსებზე მსურველთა მიღებას იწყებს



შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, აცხადებს მოწვევას ავტობუსის ქალი მძღოლის მოკლევადიან მოსამზადებელ კურსზე. კურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ქალებს, რომელთაც სურვილი აქვთ, ავტობუსის მძღოლის პროფესიას დაეუფლონ.

კურსის განმავლობაში, მონაწილეები გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას. თეორიული კურსი მოიცავს, როგორც ავტობუსის მართვის, საგზაო მოძრაობის წესებისა და უსაფრთხოების ინსტრუქციების, ასევე, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებისა თუ მგზავრებთან კომუნიკაციის საკითხებს, პრაქტიკული სწავლების დროს კი მონაწილეები გაივლიან ავტობუსის მართვისა და მანევრირების გაკვეთილებს. გარდა ამისა, კურსის ფარგლებში, მონაწილეები შეისწავლიან პირველადი სამედიცინო დახმარების საფუძვლებს და წარმატებით დასრულების შემთხვევაში, შესაბამის სერტიფიკატს მიიღებენ.

სწავლების დასრულების შემდეგ მონაწილეები ავტობუსის მძღოლის D კატეგორიის მართვის მოწმობისთვის დადგენილ თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდებს გაივლიან. გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, D კატეგორიის მართვის მოწმობის მქონე ქალებს შეეძლებათ დასაქმდნენ ავტობუსის მძღოლად როგორც კერძო, ასევე, საჯარო სატრანსპორტო კომპანიებში.

გადამზადების კურსი უფასოა ყველა მსურველისთვის, რომლის ფარგლებშიც, ასევე, დაფინანსდება გამოცდაზე გასვლის ღირებულება.

სწავლება ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება და მისი დაწყების სავარაუდო თარიღი 2023 წლის პირველი მაისია. მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ქალს, ვინც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

– არის საქართველოს მოქალაქე;

– არის, სულ მცირე, 24 წლის;

– აქვს B კატეგორიის მართვის მოწმობა;

– აქვს მსუბუქი ავტომობილის მართვის, სულ მცირე, 3-წლიანი გამოცდილება;

– არ აქვს მნიშვნელოვანი საგზაო დარღვევები (ავარიები, ავტომობილის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა და სხვა);

– მზადაა, ბოლომდე გაიაროს გადამზადების კურსი და ჩააბაროს მართვის მოწმობის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდა;

დაინტერესებულმა პირებმა დღეიდან 20 მარტამდე, უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

– CV / რეზიუმე;

– პირადობის მოწმობის ასლი;

– მართვის მოწმობის ასლი;

მოსამზადებელ კურსში მონაწილეობისთვის შეირჩევა 25 ქალი.

პირებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან აღნიშნულ კურსს, შესაძლებლობა ექნებათ, ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ დასაქმდნენ.

## „რეტროს“ შაურმით თბილისში 5 ადამიანი მოიწამლა



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ქ. თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრიდან მიიღო შეტყობინება 5 ადამიანის სავარაუდო საკვებისმიერი ინტოქსიკაციის შესახებ. ხუთივე მათგანმა მიირთვა შაურმა საშაურმე „რეტროს“ (შპს „ბრაზერს“) ორ სხვადასხვა მისამართზე (აბასთუმნის ქ. №1ა და სამტრედიის ქ. №9) მდებარე ობიექტში.

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა აღნიშნულ ობიექტებში სახელმწიფო კონტროლი მყისიერად განახორციელეს. ლაბორატორიული კვლევისთვის აღებულია სურსათის ნიმუშები. ამასთან, საშაურმეებში ზოგადი სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს; დარღვეული იყო მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესი, ბიზნესოპერატორი არ იყო რეგისტრირებული ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში. „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 65-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 66-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 1.000 ლარით და შეუჩერდა საქმიანობის უფლება ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

# მოლდოვაში სახელმწიფო გადატრიალება მზადდება




რუსეთ-უკრაინის ომი გაჭიანურდა. არ გამართლდა პუტინის პროგნოზი, კიევს სამ დღეში ავიღებო. ომი უკვე წელიწადია გრძელდება. პენტაგონის აზრით, უკრაინაში საომარი მოქმედებები უახლოეს ხანებში უფრო გააფთრებულ ხასიათს მიიღებს. სავარაუდოდ, ომი ან 2023 წელს დამთავრდება, ან კიდევ 2-3 წელიწადს გაგრძელდება. რაც უფრო ფართოვდება ომის გეოგრაფია, მით უფრო იზრდება რუსეთის ზეწოლა მეზობელ ქვეყნებზე. ეს იგრძნო მოლდოვამ.

მოლდოვაში ძლიერი პრორუსული ლობია, რომელიც, უწინარეს ყოვლის „აგრარიკოსებისაგან“ შედგება. ეს ხალხი რუსეთის ბაზარს არის მიჯაჭვული. რუსეთშია დასაქმებული მოლდოვის მოსახლეობის 35%. ამან ხალხის სათანადო განწყობებიც განაპირობა. მოლდოველთა 42% მხარს უჭერს ევროკავშირში შესვლას; 40% ევრაზიულ კავშირს ემხრობა. პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტი რეიტინგი საქართველოს ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აქვს (42%); რუსეთის დიქტატორი პუტინი 40%-იანი მხარდაჭერით სარგებლობს; მოლდოვის მოქმედი პრეზიდენტი მაია სანდუ კი მხოლოდ მესამეა. მოლდოვის სახელმწიფო ინსტიტუტები არა მხოლოდ კორუმპირებული, არამედ მცირერიცხოვანია. მოლდოვის არმია ფაქტობრივად სიმბოლური ხასიათისაა. ის ცუდად აღჭურვილი, მცირერიცხოვანი და გაუწვრთნელია.

ყველაფერმა ამან განაპირობა მოლდოვის ხელისუფლების კომპრომისები რუსეთის მიმართ. ქვეყნის ნეიტრალური სტატუსი კონსტიტუციით არის დაფიქსირებული. უარი ითქვა დნესტრისპირეთის ოკუპირებულ ტერიტორიად გამოცხადებაზეც. სერიოზული კომპრომისების მიუხედავად, რუსეთის აგრესია არ ჩაცხრა. მოსკოვმა კურსი მაია სანდუს რეჟიმის დამხობასა და ქვეყანაში აშკარა პრორუსული ხელისუფლების დამყარებისკენ აიღო. ამით აიხსნება მოლდოვის პრო-რუსული ძალების გააქტიურებაც. შეიქმნა ერთიანი ბლოკი, სადაც შევიდნენ კომუნისტები, სოციალისტები და ე.წ. შორის პარტია (ოლიგარქ შორის მომხრეები). დაიწყო პირდაპირი მოქმედებები მაია სანდუს კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ.

უკრაინის უშიშროების სამსახურისა და სამხედრო დაზვერვის აზრით, მოლდოვაში პრორუსული გადატრიალება მზადდება. მაია სანდუმ თავის ტელეინტერვიუში ეს დაადასტურა.

პროგნოზი გამართლდა. პრორუსულმა ძალებმა ქუჩაში 42.000 ადამიანი გამოიყვანეს. ამის შემდეგ კოლონა მთავრობის სახლისაკენ დაიძრა შეძახილით: „ძირს სანდუ“, „მთელი ძალაუფლება ხალხს“. მანიფესტანტებმა მთავრობის სახლში შეჭრა ცადეს. მილიცია მათ წინ აღუდგა. დემონსტრაცია დაშალეს. რამდენიმე ხულიგანი, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ, დააკავეს. ამრიგად, ამ ეტაპზე გადატრიალება ჩაიშალა, თუმცა მოვლენები ამით არ დამთავრებულა. პრორუსულმა ძალებმა „სახალხო მოძრაობა“ შექმნეს და მასობრივი აქციები დააანონსეს. მოლდოვის კონტრდაზვერვის აზრით, რეალურია კიშინიოვში რუსული დესანტის გადმოსხმის საფრთხე.

მოლდოვის გარშემო ბრძოლა გრძელდება. რუსეთი სულ უფრო აქტიურდება. შექმნილ ვითარებაში უპრიანი იქნება, თუ მოლდოვის დასაცავად ერთად გამოვლენ უკრაინა და რუმინეთი. მაშინ რუსეთს ძალიან გაუჭირდება.

# ყველაზე სასტიკი ბრძოლები ბახმუტთან მიმდინარეობს

რუსეთ-უკრაინის ომი სულ უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ყველაზე სასტიკი ბრძოლები ბახმუტთან არის. თანახმად უკანასკნელი ცნობებისა, უკრაინელებმა ქალაქთან რუსების შეტევა შეაჩერეს. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

ოკუპანტები ცდილობენ, გადაკეტონ ბახმუტთან მისასვლელი ყველა გზა. შესაბამისად, ქალაქის ალყაში მოქცევის საფრთხე დიდია. მიუხედავად ამისა, უკრაინელები ბახმუტის დატოვებას არ აპირებენ.

სასტიკი ბრძოლებია კრემენნოესთანაც. აქ რუსებმა დამატებითი ძალები გადაისროლეს და შეტევაზე გადასვლას ცდილობენ. ეს მცდელობები წარუმატებელია. ოკუპანტები უდიდეს ზარალს განიცდიან და წინ ვერ მიიწევენ. მსგავსი ვითარებაა ავდეევკასა და მარინკასთან. რაც შეეხება უგლედარს, აქ რუსების შეტევა შეჩერდა.



რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, აქ ვითარება უცვლელია. გრძელდება პოზიციური ბრძოლები. რუსები შეეცადნენ ზაპოროჟიეს ოლქში შეტევაზე გადასვლას, მაგრამ ამაოდ. რუსებმა დაბომბეს ქალაქი ზაპოროჟიე. დაინგრა მრავალსართულიანი სახლი. მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლია. ამას გარდა, რუსებმა დაბომბეს დნეპრის ოლქი და ქალაქი ნოკოპოლი.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელ ჩერევატის ცნობით, რუსეთი უკრაინის მასირებული დაბომბვებისათვის ემზადება. სავარაუდოდ, ოკუპანტები ფრთოსან რაკეტებსა და ირანულ შახიდებს გამოიყენებენ.

ჩერევატიმ ხაზი გაუსვა, რომ რუსების უმთავრესი სამიზნე კვლავ ენერგოსექტორი და საცხოვრებელი სახლები იქნება.



# ფინეთის პარლამენტმა ქვეყნის ნატოში შესვლას მხარი დაუჭირა

ფინეთის პარლამენტმა ქვეყნის ნატოში შეყვანას მხარი დაუჭირა. დადგენილებას დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მისცა ხმა.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, ფინეთის მთავრობა უფრთხის რუსეთის არმიის შემოჭრას. „ამერიკის ხმის“ ცნობით, ფინეთ– რუსეთის საზღვარზე ფინელებმა დაიწყეს ტრანშეების თხრა.

# აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ყაზახეთში ჩავიდა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ბლინკენი ყაზახეთში ჩავიდა. ის პირადად შეხვდა პრეზიდენტ ტოკაევსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ტაუბერდის.

ბლინკენმა ყაზახეთში შექმნილი ვითარება დადებითად შეაფასა. მან თქვა, რომ ამ ქვეყანას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

ომის დაწყებიდან დღემდე რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.397; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 6.658; არტილერია – 2.398; თვითმფრინავები – 300; ცისტერნები და საავტომობილო ტექნიკა – 5.264; სპეციალური ტექნიკა – 230; განადგურებულია 150.605 ოკუპანტი.

ასეთია უკრაინის გენშტაბის მონაცემები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

საზოგადოება

# ქაქუცა ჩოლოყაშვილის უცნობი ფოტო აღმოჩენილია

დასაწყისი მე-8 გვერდზე



ცუდად იყო დანას ქალიშვილი. ისიც ისე გარდაიცვალა, რომ მხოლოდ წერილობითი ურთიერთობები დარჩა იმეილის არქივში.

არ მოვეშვი და დავიწყე დანას შვილიშვილის მოძიება. ვის არ ვთხოვე – ქალბატონ მანანა თაქთაქიშვილს, ჩემს ნათესავსა და ფიგურას საფრანგეთის ქართულ ემიგრაციაში, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს, საქართველოს ელჩს საფრანგეთში, ბატონ გოჩა ჯავახიშვილს, ბოლოს და ბოლოს, გადაწყდა: დამპატიჟეს ამ არქივის სანახავად, მაგრამ... არ გქონდეს იმედიო, არაფერი მნიშვნელოვანი არ იქნება, ერთი პატარა ჩემოდანიაო. მე მაინც იმედი მქონდა: პატარა ჩემოდანში შესაძლებელია ყოფილიყო ალბომები, მაგრამ, რა დაგემართება, როცა შეხვედრაზე გამოგიტანენ დიპლომატის ჩემოდანს, ხელის კანკალით გახსნი და... უმნიშვნელო დოკუმენტები.

ფოტოები? ვკითხე პატრონს... ისე გამომივიდა, ჭრიჭინაში რომ ამბობს მარინე: ვაშლი, მიჩურინის ვაშლი!

მეც აღმოვთქვი: ქაქუცას ფოტოები?

ბატონი გოჩა ჯავახიშვილი თანაგრძნობით მიყურებს, მირიან ხოსიტაშვილიც, ქალბატონი მანანაც, რომლებიც ესწრებიან ამ შეხვედრას.

– სადმე ხომ არ შეიძლება გქონდეთ შენახული ქალბატონი დანას არქივი? – ვეკითხები ქალბატონი დანას შვილიშვილს! უთარგმნიან. სახეზე ვატყობ, შეყოვნდა. – სხვენზე უნდა იყოს მეთქი, – წავილუღლუღე. ბატონი გოჩა მეკითხება, დანამდვილებით იცი, რომ ჰქონდაო? მამულიამ ნახა-მეთქი და უცებ: სარდაფში მაქვს რაღაცები, მაგრამ ჭუჭყია იქო. ვნახავ-მეთქი. ჩავედით სარდაფში მე და მირიანი. ჩანთები! ერთ ჩანთას აწერია: ფოტო! ალბომებიც იქ არის! არის! არის! დანა ამილახვარის შვილიშვილი ქალბატონი ღიმილით მიყურებს. არქივს გვჩუქნის, დანა ამილახვარის ფოტოებს გვათხოვებს! ერთი სული მაქვს, სასტუმროში მივიდე! შევრბივარ ოთახში და ვათვალიერებ ალბომს. აი, ქაქუცა! ალბომში სხვა ქართველებიც არიან: ალექსანდრე სულხანიშვილი, ბაგრატიონმუხრანელები. პირველს მამულიას ვურეკავ და ვაგებინებ ამ ამბავს, ფოტოსაც ვუგზავნი! დასტურია! ისაა! აბა გადაამოწმე, ამ ალბომში წულუკიძის ფოტოს ადგილი უნდა იყოს ფრანგული წარწერით, ფოტო კი ამოხეულიაო. ასეა! რა მეხსიერება აქვს ამ მამულიას!

ეს იყო და ეს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მივიტანე ეს არქივი. ვინ იცის, იქ რა დამხვდება! უპირველესი მადლობა დანა ამილახვარის შვილიშვილს, ქალბატონ ფლორანსს ნდობისათვის და ჩემს გამგებ და გვერდში მდგომ ყველა ადამიანს, რომლებიც ამ საქმეში დამეხმარნენ! აი, ფოტოც!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ქორწილის დროს გარდაცვლილი პატარძალი მისი უმცროსი დით შეცვალეს



ინდოეთში ტრადიციული საქორწინო ცერემონიის დროს პატარძალმა გონება დაკარგა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გოგონას გულის შეტევა დაემართა და მამამისმა სიძეს მისი თავისი უმცროსი ქალიშვილით შეცვლა შესთავაზა.

ინდოეთის გუჯარათის შტატში ქორწილის დროს საკურთხეველთან მყოფმა პატარძალმა დაიჩივლა, რომ თავბრუ ეხვეოდა და მოულოდნელად ძირს დაეცა. გოგონას ადგილზე გონს მოყვანა ვერ მოხერხდა და ის ნათესავებმა საავადმყოფოში გადაიყვანეს. იქ გაირკვა, რომ გოგონა გულის შეტევის შედეგად გარდაიცვალა.

იმის მაგივრად, რომ ქორწილი გაუქმებულიყო, გოგონას მამამ სიძეს გარდაცვლილის უმცროსი დის შერთვა შესთავაზა. სიძემ შეთავაზებაზე თანხმობა განაცხადა და უმცროსმა დამ უფროსი დის ადგილი დაიკავა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## შედეგები

სპორტი

1 მარტი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ევერტონი ..................... 4:0

ლივერპული-ვულვზი ..................... 2:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 25 | 19 | 3 | 3 | 56-23 | 60 |
| 2.სიტი | 25 | 17 | 4 | 4 | 64-25 | 55 |
| 3.მანჩესტერი | 24 | 15 | 4 | 5 | 41-28 | 49 |
| 4.ტოტენჰემი | 25 | 14 | 3 | 8 | 46-35 | 42 |
| 5.ნიუკასლი | 23 | 10 | 11 | 2 | 35-15 | 41 |
| 6.ლივერპული | 24 | 11 | 6 | 7 | 40-28 | 39 |
| 7.ფულემი | 25 | 11 | 6 | 8 | 36-31 | 39 |
| 8.ბრაიტონი | 22 | 10 | 5 | 7 | 39-29 | 35 |
| 9.ბრენტფორდი | 23 | 8 | 11 | 4 | 37-30 | 35 |
| 10.ჩელსი | 24 | 8 | 7 | 9 | 23-25 | 31 |
| 11.ასტონ ვილა | 24 | 9 | 4 | 11 | 30-38 | 31 |
| 12.კრ.პალასი | 24 | 6 | 9 | 9 | 21-31 | 27 |
| 13.ნოტინგემი | 24 | 6 | 7 | 11 | 18-42 | 25 |
| 14.ლესტერი | 24 | 7 | 3 | 14 | 36-42 | 24 |
| 15.ვულვზი | 25 | 6 | 6 | 13 | 18-35 | 24 |
| 16.ვესტ ჰემი | 24 | 6 | 5 | 13 | 23-29 | 23 |
| 17.ლიდსი | 24 | 5 | 7 | 12 | 29-39 | 22 |
| 18.ევერტონი | 25 | 5 | 6 | 14 | 17-36 | 21 |
| 19.ბორნმუთი | 24 | 5 | 6 | 13 | 22-48 | 21 |
| 20.საუთჰემპტონი | 24 | 5 | 3 | 16 | 19-41 | 18 |

### ესპანეთი. სამეფო თასი

ოსასუნა-ბილბაო ......................... 1:0

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## განცხადებები

● ალკოჰოლიზმის და ნარკომანიისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, აგრესია, შიშები, ნევროზი, დეპრესია, აკვიატებული აზრები, ძილის პროცესების დარღვევა, მოუსვენრობა, შფოთვა. ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა. ანონიმურობა დაცულია. ტელ: 595 129 129. მის: აღმაშენებლის 154.

● ძვალ-სახსართა სისტემის პრობლემების მოგვარება: ოსტეოპოროზი, ოსტეოქონდროზი, ართრიტი, ართროზი, კოქსართრიტი, ხრტილოვანი და ძვლოვანი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა (საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე) სისხლის მიმოქცევის და ენდოკრინოლოგიური პრობლემების მოგვარება, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა) ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე, გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის 154.

● სიმაღლეში ზრდის ყველაზე სწრაფი, მარტივი და ეფექტური კურსი. შედეგად 3-5 სმ მომატება, ზრდის ზონების გააქტიურება ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტირებული შედეგით. ტელ: 599 96 44 94. მის: აღმაშენებლის 154. მწვანე ოფისი.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# მამუკელაშვილი გაუშვეს, ბითაძეს მცირე დრო ეძლევა

ქართველი კალათბურთელი სანდრო მამუკელაშვილი უგუნდოდ არის. მილუოკელებმა ორლანდოს მატჩამდე გამოაცხადეს, რომ ქართველ კალათბურთელს დაემშვიდობნენ. გადაწყვეტილება კლუბმა მიიღო, მაგრამ ჩვენებურს გუნდის მოძებნას დაჰპირდნენ.

ბაქსის მთავარმა მწვრთნელმა



მაიკ ბუდენჰოლცერმა მამუკელაშვილის გაშვების შემდეგ კომენტარი გააკეთა.

**მაიკ ბუდენჰოლცერი:**

– მისი სულიერება და ადამიანური თვისებები უმაღლეს დონეზეა. გუნდის გასახდელში სანდრო ყველას უყვარს და სამწვრთნელო შტაბშიც ასეა. ლიგაში ბევრი ახალგაზრდა მოდის და ვცდილობთ, ყველას ხელგაშლილი შევხვდეთ, სანდრომ კი ყველაფერი ათმაგად დაგვიბრუნა. როგორც ჩვენთვის, ასევე მისთვის მძიმე გადაწყვეტილება მივიღეთ, თუმცა, ვფიქრობ, ეს მისი კარიერის ერთ-ერთი ნაწილი გახდება. მიუხედავად იმისა, რომ გუნდიდან ვუშვებთ, ვთვლი, რომ სანდროს აუცილებლად ექნება კარგი კარიერა და ლიგაში თავის დამკვიდრებას მოახერხებს. ამის ყველას გვჯერა. უბრალოდ, არის შემთხვევები, როდესაც გარკვეული ნაბიჯების გადადგმა გიწევს, იმისთვის, რომ ახალი გზები იპოვო და თავი უკეთესად წარმოაჩინო. ამდენად, ეს ამბავი, გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლოა, მისთვის უკეთესიც კი იყოს.

მილუოკიმ კი მეჯიკი, რომლის რიგებშიც გოგა ბითაძე გაისარჯა, 139:117 დაამარცხა.

ბითაძემ მხოლოდ დასკვნითი წუთები ითამაშა, როდესაც მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ჩვენებურმა პარკეტზე 4:33 წუთი გაატარა, რა დროშიც 3 ქულა და 2 მოხსნა მიითვალა.

გოგამ ორქულიანი და ჯარიმა ჩააგდო, ხოლო სამქულიანი ააცილა.

ორლანდო 26 მოგებითა და 37 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში მე-13 ადგილზეა, მომდევნო მატჩი კი 4 მარტს სტუმრად, შარლოტ ჰორნეთსთან ელოდება.

# მსოფლიო ჩემპიონატის ფორმატი ცნობილია

კალათბურთში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარე წლის 25 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით სამ აზიურ ქვეყანაში – ინდონეზიაში, იაპონიასა და ფილიპინებზე გაიმართება. მუნდიალს ინდონეზიისა და ფილიპინების დედაქალაქები – შესაბამისად ჯაკარტა და მანილა უმასპინძლებენ, იაპონიაში კი, მასპინძელი ქალაქი ოკინავა იქნება.

უკვე ცნობილია, თუ რომელი ქვეყანა რომელ ჯგუფებს უმასპინძლებს. შედგა კალენდარიც, რომელიც ხორცს 29 აპრილის წილისყრის შემდეგ შეისხამს, როცა ქალაქ მანილაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულ გუნდებს ჯგუფებში გადაანაწილებენ.

იაპონიის მსგავსად, ინდონეზიაც მსოფლიო ჩემპიონატის 2 ჯგუფს უმასპინძლებს, ხოლო ფილიპინებზე, რომელიც სამ მასპინძელ ქვეყანას შორის დომინანტია, 4 ჯგუფის თამაშები გაიმართება, ისევე, როგორც ფლეი ოფის მატჩები, რომლებიც მეოთხედფინალებიდან დაიწყება.

წილისყრა ფიბას მიმდინარე კლასიფიკაციით გაიმართება. ანუ გუნდები კალათებში მიმდინარე რეიტინგით განაწილდება. ცნობილია ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ფილიპინებზე ითამაშებს, სლოვენია – იაპონიაში, ხოლო კანადა – ინდონეზიაში. ეს არჩევანი თავად მასპინძელმა ქვეყნებმა გააკეთეს.

მსოფლიოს ჩემპიონატი იგივე ფორმატით ჩატარდება, როგორც 4 წლის წინ – ჩინეთში. მსოფლიოს თასზე გასული 32 ნაკრები ფიბას რეიტინგის გათვალისწინებითა და გეოგრაფიული პრინციპით კალათებში განითესება და 8 ჯგუფში განაწილდება.

აქვე კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის 32 ქვეყანა, რომელთა ნაკრებებიც მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდნენ.

**ევროპა:** ლატვია, გერმანია, საბერძნეთი, ფინეთი, სლოვენია, საფრანგეთი, ლიეტუვა, ესპანეთი, იტალია, საქართველო, მონტენეგრო, სერბეთი;

**აზია:** ფილიპინები, იაპონია, ლიბანი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ჩინეთი, ირანი, იორდანია;




**ამერიკა:** აშშ, კანადა, ბრაზილია, მექსიკა, ვენესუელა, პუერტო რიკო, დომინიკის რესპუბლიკა;

**აფრიკა:** ეგვიპტე, ანგოლა, სამხრეთ სუდანი, კაბო ვერდე, კოტ-დივუარი;

ჯგუფში თითოეული გუნდი 3 მატჩს ჩაატარებს, რის შემდეგაც 2-2 საუკეთესო მეორე ჯგუფურ ეტაპზე გავა. უკვე ცნობილია, რომ ახალ ჯგუფს ა ჯგუფის 2 საუკეთესო ბ-ს 2 საუკეთესოსთან შექმნის და ასე თანმიმდევრობით გაჰყვება. ყოფილ თანაჯგუფელებს ერთმანეთში ნათამაშები შედეგი მეორე ეტაპზე გადაჰყვებათ და ახალ ჯგუფებში თითოეული მათგანი 2 მატჩს ჩაატარებს, რის შემდეგაც ოთხივე ჯგუფის 2-2 საუკეთესო (ჯამში 8 გუნდი) მეოთხედფინალში გავა.

პირველი ეტაპის მიღმა დარჩენილი გუნდები ერთმანეთში საკვალიფიკაციო მატჩებს ჩაატარებენ, რაც იმ მიზნით ხდება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გარკვეული ადგილების მფლობელები უნდა გამოვლინდნენ. მაგალითისთვის, პირველ ჯგუფებში ჩარჩენილი გუნდები 17-32 ადგილებისთვის საკვალიფიკაციო ჯგუფების მატჩებში იბრძოლებენ, ხოლო ვინც მეორე ჯგუფური ეტაპიდან ვერ გავა, 9-16 ადგილებისთვის მატჩებს არ გამართავენ. სამაგიეროდ, გათამაშდება 5-8 ადგილები, რომელთათვისაც მეოთხედფინალებში დამარცხებული გუნდები იბრძოლებენ, ხოლო გამარჯვებულები, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეულს გამოავლენენ.

# მეორე წრეში ლიდერები აგებენ

სანაკრებო პაუზისა და ისტორიული მიღწევის შემდეგ საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატი განახლდა. სუპერლიგის 4 მატჩი გაიმართა, რომლებიც საკმაოდ საინტერესო შედეგებით დასრულდა.

### დელტა-მარგვეთი 85:68
**(27:18; 12:17; 18:19; 28:14)**

დელტა გამარჯვების რელსებს დაუბრუნდა. სეზონის ხეირიანად, 6-დან 5 მოგებით დაწყების შემდეგ გურჯაანულ გუნდს 7-მატჩიანი წარუმატებელი სერია ჰქონდა, მაგრამ აგერ უკვე ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო და სატურნირო მდგომარეობაც გაიუმჯობესა.

შუა სეზონში სახელცვლილი მარგვეთი, რომელსაც მანამდე მეგა ერქვა, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას სასპონსორო პირობებით შეუთანხმდა და სახელწოდება ხომ შეიცვალა, მალე კი ქალაქში მთლიანად გადავა. მარგვეთელები სუპერლიგიდან გასავარდნ ზონასთან ახლოს არიან და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდის უპირველესი ამოცანა ელიტაში ადგილის შენარჩუნებაა. ამის გათვალისწინებით, დელტასთან შეხვედრას მარგვეთისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა საწადელს ვერ მიაღწია.

მეტ-ნაკლებად თანაბარი საწყისი 3 პერიოდის შემდეგ ანგარიში გურჯაანელებს მიჰყავდათ – 57:54. საინტერესო ფინალის მოლოდინმა არ გაამართლა. დელტამ იოლი გამარჯვება გაიფორმა. ათწუთეული გურჯაანელებმა 28:14 მოიგეს.

დელტაში 23 ქულით საუკეთესო იყო დერიკ ნიუტონი, 16 ქულა ირაკლი სულხანიშვილმა მოაგროვა, 10-10 ქულა – გეგი ბაქრაძემ და ოთარ ფხაკაძემ. მარგვეთში 16 ქულით საუკეთესო შედეგი რონი როზიემ დააფიქსირა. 15 ქულა მარქუს გილსონმა მიითვალა.

### კაკტუსი-ტიტები 76:93
**(21:28; 18:23; 21:26; 16:16)**

კაკტუსმა მეორე წრეში 5-დან მესამე შეხვედრა წააგო, რაც ირაკლი ხოშტარიას გუნდს პირველობის დაკარგვად დაუჯდა.

მიზეზი შემადგენლობასთან დაკავშირებული პრობლემებია. რიგ მიზეზთა გამო მეორე წრეში 4 ლეგიონერს ერთად არ უთამაშია. თავიდან მიზეზად ტრავმები დასახელდა, მაგრამ მერე კარგა ხანი გავიდა და ამერიკელები უნდა გამოჯანმრთელებულიყვნენ.

კაკტუსელებმა უშანსოდ წააგეს ტიტებთან, რომელსაც მანამდე 4 გამარჯვება ჰქონდა და ბოლოსწინა ადგილზე იყო. ბესიკ ლეჟავას გაწვრთნილი გუნდი პროგრესირებს. ტიტებმა ბოლო 3 მატჩიდან მეორედ იმარჯვეს – თანაც სულ ამბიციურ გუნდებს, ჯერ დელტას, ახლა კი კაქტუსს მოუგეს.



ფრედ, 16:16 დამთავრებული ბოლო პერიოდის გარდა, ტიტებმა ყველა მეოთხედი მოიგო. შეუჩერებელი იყო ეროვნული ნაკრების ძველი კანდიდატი, დუდა სანაძის ძმა, სანდრო, რომელმაც შეხვედრა 27 ქულითა და 4-4 მოხსნა-პასით დაასრულა. სანაძეს, რომელიც ბათუმიდან გადმობარგდა, ტიტებში კარიერის საუკეთესო პერიოდი უდგას. ის მატჩში საშუალოდ 18 ქულას აგროვებს.

სანაძის შემდეგ ტიტებში 22 ქულითა და 7 შედეგიანი გადაცემით კენდრიკ ტომპსონი გამოირჩა, ხოლო 13 ქულა დარიუს ბელმა მოაგროვა. კაკტუსს ვერაფერი უშველა რაიან ალენის 25-მა ქულამ. აღსანიშნავია ვახტანგ გაფრინდაშვილის შედეგიანი გარჯა – 14 ქულა, 8 მოხსნა.

### კავკასია-რუსთავი 72:97
**(18:35; 16:17; 24:13; 14:32)**

მეორე წრეში გამართული 5 მატჩიდან კავკასიამ მხოლოდ ბოლოადგილოსან ვერას, ისიც გაჭირვებით მოუგო. სხვა ყველა შეხვედრა ბექა წივწივაძის გუნდმა დათმო. მიუხედავად ამისა, კავკასია პირველ ადგილზეა. თუმცა ეს ცხრილში არათანაბარი მატჩების გამოა და დაკარგული ქულებით რომ მივუდგეთ, წივწივაძის გუნდზე ნაკლები წაგებით ოლიმპი და რუსთავი არიან წარმოდგენილნი.

სწორედ რუსთავი იყო კავკასიის მორიგი მეტოქე. ამ გუნდებს 4-4 წაგება ჰქონდათ, შესაბამისად, უშუალო კონკურენტებად მიიჩნევიან და მათი დაპირისპირების გამარჯვებული სოლიდური კრედიტით დაჯილდოვდებოდა. პირველი პერიოდის 35:18 მოგებით რუსთაველებმა ცხადყვეს, რომ ამ სეზონში მართლაც სოლიდური შედეგისთვის იბრძვიან. პერიოდში სუპერლიგის ერთ-ერთ ლიდერთან 17-ქულიანი უპირატესობის მოპოვება უბრალო სამე არ გახლავთ.

კავკასიელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კატასტროფულმა დასაწყისმა გუნდი არ გატეხა და წივწივაძის გუნდი თამაშში დაბრუნდა. ეს მოხდა მესამე პერიოდის ბოლოს, რომელიც კავკასიამ 24:13 მოიგო და ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირა. ბოლო პერიოდში მატჩის დაძაბვა იყო სავარაუდო, მაგრამ პირველი პერიოდის სცენარი განმეორდა. ტრეი კრაფტის, ლუკა ბულაშვილისა და რევაზ როგავას ლიდერობით რუსთაველებმა ათწუთეული 32:14 მოიგეს და საბოლოოდ კომფორტული, 25-ქულიანი გამარჯვება გაიფორმეს.

11 ცდიდან ჩაგდებული 8 სამიანისა და ჯამში მითვლილი 28 ქულის გათვალისწინებით, ლუკა ბულაშვილი მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა. ტრეი კრაფტმა 17 ქულა და 11 პასი გაიღო, რითიც ქვემოქართლელთა გამარჯვებაში სოლიდური წილი დაიდო. 18 ქულა გუგა პატაშურმა მოაგროვა. კავკასიაში 20 ქულითა და 7 მოხსნით საუკეთესო იყო ილია ლონდარიძე.

### ოლიმპი-თსუ 89:84
**(22:16; 18:18; 27:32; 22:18)**

ყველაზე დაძაბული და საინტერესო ბრძოლა ამ მატჩში შედგა. დაკარგული ქულებით სუპერლიგის ლიდერი, მხოლოდ 3 წაგების მქონე ოლიმპი ნაკრების 3 წევრის მყოლ თსუს დაუპირისპირდა. თანაბარი და ემოციური დაპირისპირება ოლიმპელთა გამარჯვებით დასრულდა.

ყველაფერი ბოლო 2 წუთში გადაწყდა, მანამდე კი ძირითადად ოლიმპელები ლიდერობდნენ – ხან 15 ქულით, ხანაც მხოლოდ ერთით, ხოლო თამაშის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე სულაც თსუ დაწინაურდა. ეს მოხდა გიორგი ცინცაძის სამქულიანის შემდეგ, რომლის შემდეგაც უნივერსიტეტელები 81:80 გალიდერდნენ.

აქ კი ოლიმპმა კლასიკურად ჩაამთავრა შეხვედრა და დამსახურებულად გაიმარჯვა. დრუ კუქსჰაუსენმა შორი ორქულიანით ქულით ისევ ოლიმპი დააწინაურა, საპასუხო შეტევაში კი პერიმეტრიდან ვერ იხეირა თსუ-ს სნაიპერმა ნოდარ გოგოძემ, რომელსაც მანამდე 6-დან 3 სამიანი ჰქონდა ჩაგდებული. ვოვა თავაქარაშვილის ტყორცნა კი გადამწყვეტი აღმოჩნდა, რადგან ოლიმპი თამაშის დასრულებამდე 16 წამით ადრე 85:81 დაწინაურდა და ამ თამაშის გამარჯვებამდე მიყვანა ტექნიკის საქმე იყო.

არადა, თსუ-მ მატჩი სათადარიგოებით დაიწყო და, როცა გუნდი 7:22 ჩამორჩა, მოედანზე ნელ-ნელა თავი ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა – მიხეილ ბერიშვილმა, გიორგი ცინცაძემ და ბექა ბექაურმა მოიყარეს. სავარაუდოდ, სანაკრებო ბატალიების შემდეგ თსუ-ს მთავარი მწვრთნელი ლექსო ლაფანაშვილი თავიდანვე მათ დატვირთვას მოერიდა. მოედანზე გამოსულმა ნაკრების წევრებმა თამაში გამოასწორეს, ლეგიონერებთან სინთეზში მათ თსუ-ს ანგარიში გაათანაბრებინეს და პირველი ნახევრის მიწურულს 5 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ ოლიმპელთა სტაბილურობაც სწორედ ის გახლავთ, რომ გუნდმა ასეთ დროს მონახა თამაშის გარდატეხის გზა და ბოლომდე მისდია მას.

ოლიმპელთაგან 28 ქულით საუკეთესო იყო დრუ კუქსჰაუსენი. 16 ქულა ობრი მაკალპინმა მიითვალა. 14 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი ლინტონ ელაისის ანგარიშზეა. თსუ-ში 19 ქულით, 4 მოხსნითა და 3 პასით საუკეთესო იყო მიხეილ ბერიშვილი. 22 ქულა მიითვალა ჯიმონ ჰენსონმა, მალკოლმ დრამრაითის ანგარიშზე კი 16 ქულა, 7 პასი და 6 მოხსნა აკუმულირდა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.კავკასია | 15 | 10 | 51205-1207 | 25 |
| 2.ოლიმპი | 14 | 11 | 31198-1101 | 25 |
| 3.კაკტუსი | 15 | 9 | 61154-1165 | 24 |
| 4.რუსთავი | 14 | 10 | 41250-1090 | 24 |
| 5.თსუ | 15 | 8 | 71267-1224 | 23 |
| 6.დელტა | 15 | 7 | 81248-1189 | 22 |
| 7.ბათუმი | 14 | 7 | 71182-1156 | 21 |
| 8.მარგვეთი | 15 | 5 | 101123-1229 | 20 |
| 9.ტიტები | 14 | 5 | 91158-1183 | 19 |
| 10.ქუთაისი | 13 | 5 | 81050-1099 | 18 |
| 11.ვერა | 14 | 2 | 121067-1259 | 16 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უბანი ძველ თბილისში; 2. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის ქსოვილებში; 3. ფარისეველი, ქლესა, ცბიერი ადამიანის ძველი სახელწოდება; 4. მოყვითალო, სურნელოვანი ყვავილების მქონე ფოთლოვანი ხე; 5. კომბინაცია პრეფერანსში; 9. შვედური ავტომობილი; 10. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 14. კაცთმოყვარე, ქველმოქმედი ადამიანი; 15. შვეიცარიული ფარმაცევტული ფირმა; 16. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 19. ასანთის ქართული სახელწოდება; 20. ქართველი ჯაზის მომღერალი ქალი; 21. ამერიკული ჯიპი.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი და შეხებითი აღქმა; 7. მეფის ხელისუფლების მანიშნებელი საგანი; 8. ზრდილობიანი მიმართვა მამაკაცისადმი თურქეთში; 11. ვეფხვის, ლომის ნაშიერი; 12. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 13. პოლონეთის დედაქალაქი; 17. მრავალხმიანობა მუსიკაში; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 22. ქართული მინერალური წყალი; 23. შენობის სახურავად გამოყენებული გამომწვარი თიხის ფირფიტა; 24. საზღვაო ფლოტის სარდლის ძველი სახელწოდება; 25. ზოდიაქოს ნიშანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბოკერია; 2. წნევა; 3. გროტესკი; 4. ეფერმერა; 5. ზივზივაძე; 9. მანილა; 12. მელოდია; 14. ველენი; 15. ეტლი; 17. შონია; 18. აჟიო.

**თარაზულად:** 6. ლორენი; 7. გრინფისი; 8. ლენოვო; 10. უელსი; 11. სანგვინიკი; 13. შვიდეული; 16. ზედაშე; 19. ჟორდანია; 20. კიმიგაიო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გენიოსი; 2. სპაგეტი; 3. კვირინალე; 5. მარიხი; 5. პუდელი; 9. დერბი; 10. ალიანსი; 14. პარლამენტი; 15. ბუკმეკერი; 16. სინოდი; 19. ზარნაშო; 20. ზუროსი; 21. ბოლიდი.

**თარაზულად:** 6. პერსპექტივა; 7. ბაბაჭუა; 8. ნიანგი; 11. ფერხული; 12. ატოლი; 13. ბარამბო; 17. იუმორესკა; 18. ზვიადაური; 22. ლუიდორი; 23. დიორამა; 24. აშხაბადი; 25. დინამიკა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge


3 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6064

ევრო — 2.7680

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1180

100 რუსული რუბლი — 3.4492

## ამინდის პროგნოზი 3 მარტისათვის




## კაზემირო: „მანჩესტერში ძალიან ბედნიერი ვარ“



მანჩესტერ იუნაიტედის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა კაზემირომ განაცხადა, რომ მანჩესტერში ბედნიერია და სურს, ამ გუნდში კიდევ დიდხანს დარჩეს. მისი აზრით, წელს მანჩესტერს რამდენიმე ტიტულის მოგება შეუძლია: „ბედნიერი ვარ, რომ მანჩესტერში გადმოვედი და მინდა, გუნდთან ერთად წარმატებას მივაღწიო. ბოლო პერიოდში კარგად ვთამაშობთ და ასე უნდა გავაგრძელოთ“.

## ლუის ენრიკეამ შესაძლოა ჩელსი ჩაიბაროს



ჩელსი ბოლო პერიოდში ძალიან ცუდად თამაშობს. გუნდს არც რამდენიმე ძვირადღირებულმა ტრანსფერმა უშველა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩელსის შესაძლოა ახალი მწვრთნელი ჰყავდეს და ეს მწვრთნელი ლუის ენრიკე იქნება, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ უმუშევარია. უახლოეს რამდენიმე დღეში ლუის ენრიკე შესაძლოა ლონდონშიც ვიხილოთ.

## რეალი ხვიჩა კვარაცხელიას შეძენით დაინტერესებულია

მადრიდის რეალი ხვიჩა კვარაცხელიას შეძენით დაინტერესებულია და შესაძლოა მათ ზაფხულში ამ ტრანსფერზე მუშაობაც დაიწყონ. ხვიჩა ნაპოლიდან წასვლას არ აპირებს, მაგრამ რეალი მისი ოცნების გუნდია და, სავარაუდოდ, რეალს უარს არ ეტყვის. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ნაპოლი კვარაცხელიას მალე ახალ კონტრაქტს შესთავაზებს, რომლის მიხედვითაც მისი ანაზღაურება გაიზრდება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ქაქუცა ჩოლოყაშვილის უცნობი ფოტო აღმოჩენილია

საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის უცნობი ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ლევან თაქთაქიშვილმა აღმოაჩინა. მისი წყალობით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი უმნიშვნელოვანესი ექსპონატებით შეივსო. უნიკალური ფოტოები და დოკუმენტები დანა ამილახვარის არქივიდან საფრანგეთიდან უკვე საქართველოშია და დამუშავებისა და შესწავლის ობიექტია.

ამის შესახებ ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი იტყობინება.

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილისა და საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორის ლევან თაქთაქიშვილის ვიზიტი პარიზში წარმატებით დასრულდა.

**ლევან თაქთაქიშვილი:**

– სულ მცირე, 6 წელი ველოდი ამ ფოტოს ნახვას! მეტიც! ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 10 წლის წინ ჩემმა მეგობარმა გიორგი მამულიამ მითხრა: დანა ამილახვარის ალბომები ვნახე და იქ იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ფოტოები, რომლებიც ერთმა რუსმა კოლექციონერმა ამოხია და დანა ამილახვარი ამ ფოტოებს აღარავის ანდობსო. იქ მაინც დარჩა ქაქუცას ფოტო, მაგრამ დანა უარზეაო. მას მერე ქალბატონი დანა გარდაიცვალა, დავიწყე მის შვილთან კავშირების გაბმა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## იუმორი

ქმარი ცოლს ღალატობს. ქალი შეუსწრებს და ქმარი გაკვირვებული სახით კითხულობს:

– როგორ, შენ ხარ? აბა, ეს ვინ არის?!

●●●

ექიმი ფსიქიატრი კოლეგას ეუბნება:

– არ არსებობს ჯანმრთელი ადამიანები, უბრალოდ არსებობენ გამოუკვლეველები!

●●●

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, მანქანა მათხოვე რა.

– რისთვის გინდა?

– გოგონასთან ერთად ვარ.

– წაიყვანე, მხოლოდ ბენზინი არ ასხია.

– არც გვჭირდება.

●●●

გასაუბრებაზე მყოფ მამაკაცს ეკითხებიან:

– რომელ ენებს ფლობთ?

– შემიძლია ვიფიქრო და, რაც მთავარია, ვდუმდე მსოფლიოს ყველა ენაზე.

●●●

ქვეყნის პრემიერ-მინისტრს სამშობლოში დაბრუნების მსურველი ბიზნესმენების სია გადასცეს. პრემიერ-მინისტრი დაჰპირდა, რომ ამ სიას ჯანდაცვის სამინისტროს გადასცემს.

●●●

პროფესორი გამოცდაზე სტუდენტს ეკითხება:

– თქვენი გვარი?

– სვანიძე, – პასუხობს სტუდენტი და იღიმება.

– რატომ იღიმებით?

– თქვენ პირველ შეკითხვას რომ სწორად ვუპასუხე, იმიტომ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლუკა ჩიქოვანი დევიდ ბოუის როლს შეასრულებს



იტალიაში მცხოვრები მომღერალი და მსახიობი ლუკა ჩიქოვანი დოკუმენტურ ფილმში მსოფლიო ლეგენდის დევიდ ბოუის როლს შეასრულებს.

ინფორმაცია და ფოტო ხელოვანმა ათასობით გულშემატკივარს ინტერნეტით გაუზიარა. ლუკამ უკვე არაერთ ფილმში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის რიდლი სკოტის ფილმში „გუჩის სახლი“, სადაც პარტნიორობა ლედი გაგას, რობერტ დე ნიროს, ჯარეტ ლეტოსა და ადამ დრაივერს გაუწია. ხელოვანი თავის ფილმში მიიწვია იტალიელმა რეჟისორმა ჯოვანი ტროილომაც, სადაც მთავარი – რომის ერთ-ერთი იმპერატორის, ავგუსტუსის, როლი შეასრულა.

ლუკა ჩიქოვანი თბილისში დაიბადა, მაგრამ წლებია, იტალიაში ცხოვრობს. 2018 წელს ფილმი „ბედნიერი ლაზარე“, სადაც მან მთავარი როლი შეასრულა, ოქროს პალმის რტოზე იყო წარდგენილი.

## სანდრო გეგეჭკორი კონცერტს ამერიკაში გამართავს



პიანისტი სანდრო გეგეჭკორი 5 მარტს კონცერტს ამერიკაში გამართავს. არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებული მუსიკოსი ამერიკას კონცერტით პირველად ეწვევა.

სანდროსთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მომღერლები ნინი შერმადინი, ვაჟა მანია, ლენკა ზვიადაძე. საღამოს მასპინძელი ირინას დენს აკადემიაა.

## „ცისფერი ტრიოს“ სოლისტი თამაზ სეფერთელაძე გარდაიცვალა



74 წლის ასაკში მომღერალი, „ცისფერი ტრიოს“ სოლისტი თამაზ სეფერთელაძე გარდაიცვალა. მან ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლისას მალხაზ თავართქილაძესა და დავით აბესაძესთან ერთად „ცისფერი ტრიო“ ჩამოაყალიბა, სწავლის დასრულების შემდეგ კი სხვადასხვა დროს სამშენებლო სფეროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდა. იყო საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველი. მომღერალს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება ჰქონდა მინიჭებული.

ინფორმაცია თამაზ სეფერთელაძის გარდაცვალების შესახებ მაესტრო ნიკოლოზ რაჭველმა გაავრცელა:

– გული მატკინე და გაპატიე, ტკივილით უფრო მემახსოვრები... ჩემო სეფო, მშვიდობით, შეხვედრამდე, იმქვეყნად მოსვლის ჩემი დრო როდესაც მოვა, მანამდე კი, ტკივილთან ერთად, სიკეთით, სიყვარულით, სიხარულით, თანადგომით, გულშემატკივრობით, სიმღერით, ენერგიით, მადლიერების გამოხატვის იშვიათი უნარითა და მუდამ ოპტიმისტური ბუნებით მემახსოვრები. ჩვენგან წავიდა „ცისფერი ტრიოს“ თამაზ სეფერთელაძე, უძვირფასესი და უმაგრესი ადამიანი. გულს მიმშვიდებს და ვამაყობ, რომ ამ უნიკალური ანსამბლის ბოლო საკონცერტო გამოსვლები ჩვენს პროექტს „მეხსიერების ბარათი №2“ დაუკავშირდა და მათდამი უდიდესი სიყვარულის გამოხატვა ეროვნულ ორკესტრთან ერთად დარბაზში მობრძანებულმა მრავალათასიანმა აუდიტორიამ ყოველ ჯერზე ფეხზე წამოდგომითა და დაუსრულებელი ხანგრძლივობის ოვაციებით შეძლო. როგორი ბედნიერი იყო ხოლმე ჩვენი სეფო... თანავუგრძნობ თამაზის ოჯახს, ტრიოს დათოს, მალხაზსა და მაღალი გემოვნების ქართული სიმღერის ყველა ქომაგსა და მოყვარულს.

## 3 მარტი ეროსი მანჯგალაძის დაბადების დღეა



3 მარტი ქართული თეატრისა და კინოს მსახიობის ეროსი მანჯგალაძის დაბადების დღეა:

– დიახ, დღეს ჩვენი ძვირფასი და საამაყო ეროსი 98 წლის გახდებოდა და ყველა, ვისთვისაც იგი სიცოცხლეშივე იყო მართლაც უძვირფასესი და განუმეორებელი, ანუ მთელი საქართველო, ჯეროვანი ყურადღებით მოიხსენიებს ასე ადრეულ – 57 წლის ასაკში გარდაცვლილ სახელოვან თანამემამულესა და თანამედროვეს.

მაგრამ, კატეგორიულად უნდა ითქვას, რომ დღეს უფრო არსებითია, როგორ მოვემზადებით ეროსის პირველი, ჭეშმარიტად დიდი და საუკუნოვანი თარიღისათვის: სულ რაღაც ორ წელიწადში (3.03.2025) ხომ ეროსის დაბადების 100 წლისთავი სრულდება და დღევანდელი თაობა აშკარა გამოწვევის წინაშე დგება – შეგვიძლია კი, ისეთი ღირსეული პატივი მივაგოთ დაუვიწყარ ეროსის, როგორსაც ჩვენი დროის ესოდენ გამორჩეული ხელოვანი და მოქალაქე იმსახურებს?

ამ გამოწვევის დაძლევა ნამდვილად შეიძლება, თუ ამთავითვე ჯეროვანი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით შევუდგებით სამზადისს და ისე არ მოვიჭრით თავს, როგორც ამ საუკუნის დასაწყისში 2003 წელს დაგვემართა, როცა მშობლიური რაიონის – სამტრედიის ცენტრში აღიმართა ყოვლად უსახური ვაიბიუსტი ეროსი მანჯგალაძისა და ახლა კაციშვილი არაა იმის გამკითხავი, თუ ვინ და ვისი რჩევით მიიღო ასეთი სამარცხვინო გადაწყვეტილება!

პროფანების დოლი საქართველოში უნდა დამთავრდეს! – აცხადებს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი სამეცნიერო კონსულტანტი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი (გოგი) დოლიძე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 3 მარტისათვის

**ვერძი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 4. მგალობელი ჩიტი; 5. ჯალათის ძველი ქართული სახელწოდება; 9. ოპერა „ტოსკას“ კომპოზიტორი; 12. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 14. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 15. იტალიელი მოდელიერი; 17. ინგლისის ნავსადგური პა-დე-კალეს სრუტეში; 18. ტერიტორიული ერთეული.

**თარაზულად:** 6. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ჟორჟ სანდის რომანი; 8. არაბი გლეხი; 10. ყოველდღიური გაზეთი თურქეთში; 11. ვიოლინოს ტიპის, მასზე დიდი, ხემიანი ინსტრუმენტი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 16. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი მტკიცე ლითონი; 19. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის ადგილმდებარეობას მასზე არეკლილი ბგერითი ტალღების საშუალებით; 20. კბილის ექიმის ძველებური სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

